$$B_t = B_{t-1} - D_t \text{და } B_t = P - \sum_{j=1}^{t} D_j \quad (1)$$

სამამულო პრაქტიკაში საამორტიზაციო თანხების განსასაზღვრავად, ძირითადად, გამოიყენება ხაზოვანი მეთოდი. აქედან გამომდინარე:

$$D = \frac{P - L}{n} = const, \quad (2)$$

t წლის ბოლოს, ცვეთის მორიგი ჩამოწერის შემდეგ, ნარჩენი ღირებულება შეადგენს:

$$B_t = P - D_t = P - \frac{t}{n}(P - L); \; t = 1, 2, 3..., n \quad (3)$$

არახაზოვანი მეთოდები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ამორტიზაციის თანხებზე პროცენტის დარიცხვით და მის გარეშე, ანუ დროის ფაქტორის გათვალისწინებით და გაუთვალისწინებლად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება დაგროვებული რეზერვის და ანუიტეტების მეთოდები, ხოლო მეორეს - ნარჩენი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის მუდმივი წილის, რიგითი რიცხვების ჯამის და ცხრილური მეთოდები.

ამ მეთოდებიდან, ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესოა ანუიტეტების მეთოდი, რომლის მიხედვით საამორტიზაციო თანხები აკუმულირდება სპეციალურ რეზერვში, მისი შემდგომი მიზნობრივი გამოყენებით - ახალი მოწყობილობის, მანქანების, მექანიზმების შეძენა, ამორტიზებული ნაგებობების მაგივრად ახლის მშენებლობა. ამასთან, ამ რეზერვში შეტანილ თანხებზე დაირიცხება პროცენტები.

თუ დავუშვებთ, რომ ამორტიზაციის ვადის ბოლოსთვის დაგროვილი სარეზერვო თანხა უნდა იყოს მწყობრიდან გამოსული ძირითადი ფონდების ღირებულების ტოლი, სალიკვიდაციო ღირებულებასთან ერთად, ხოლო ამ რეზერვის შემქმნელი შენატანები მუდმივი, მაშინ ეს გადახდები ღებულობს მუდმივი პოსტნმერანდო ფინანსური რენტის სახეს, რომლის ნაზარდი თანხა შესაქმნელი (აუცილებელი) რეზერვის ტოლია. ამასთან, რენტის ნაზრდის მამრავლი (ცხრილური კოეფიციენტი) განისაზღვრება ფორმულით:

$$S_{n,j} = \frac{(1+i)^n - 1}{i}, \quad (4)$$

სადაც i არის საპროცენტო განაკვეთი.

ყოველწლიური შენატანი განისაზღვრება ფორმულით:

$$D = \frac{P - L}{S_{n,j}}, \quad (5)$$

ანუიტიტების მეთოდით სამელიორაციო საექსპლუატაციო ორგანიზაციის ძირითადი ფონდების ამორტიზაციის გამოთვლის მაგალითი მოყვანილია ცხრილში 4. გამოანგარიშებისთვის მიღებულია შემდეგი საწყისი მონაცემები: ორგანიზაციის ძირითადი ფონდების ღირებულება - 1000 ათასი ლარი, ფონდების ექსპლუატაციის ვადა - 20 წელი (დაჩქარებული ამორტიზაცია), ძირითადი ფონდების ნარჩენი ღირებულება - 10,0 ათასი ლარი, საბანკო განაკვეთი 15 %, შესაბამისად, ცხრილური კოეფიციენტი - 102,4435826, ორგანიზაციის ყოველწლიური შენატანი - 9,664 ათასი ლარი.

ცხრილი 4

საამორტიზაციო ფონდის ფორმირების პროცესი და საბალანსო ღირებულების დინამიკა

წლები (t)	ყოველწლიური შენატანი D, ათასი ლარი	ცვეთა t წელიწადის განმავლობაში $D_t = D(1+i)^{t-1}$, ათასი ლარი	საამორტიზაციო ფონდი, წლის ბოლოს მიმდევრობითი გადასახადების და პროცენტების ნაზრდის გათვალისწინებით $D*S_{t;i}$, ათასი ლარი	ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება B_t, ათასი ლარი
0	-	-		1000,00
1	9,664	9,66	9,66	990,34
2	9,664	11,11	20,78	979,22
3	9,664	12,78	33,56	966,44
4	9,664	14,70	48,26	951,74

5	9,664	16,90	65,16	934,84
6	9,664	19,44	84,60	915,4
7	9,664	22,35	106,95	893,05
8	9,664	25,71	132,66	867,34
9	9,664	29,56	162,22	837,78
10	9,664	34,00	196,22	803,78
11	9,664	39,09	235,31	764,69
12	9,664	44,96	280,27	719,73
13	9,664	51,70	331,98	668,02
14	9,664	59,46	391,44	608,56
15	9,664	68,38	459,82	540,18
16	9,664	78,64	538,45	461,55
17	9,664	90,43	628,89	371,11
18	9,664	103,99	732,88	267,12
19	9,664	119,60	852,48	147,52
20	9,664	137,53	990,00	10,00
		990,00		

მე-4 ცხრილის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საამორტიზაციო ფონდის ფორმირებისთვის ანუიტეტის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ყოველწლიური შენატანის სიდიდე შედგენს მხოლოდ 9,664 ათას ლარს, მაშინ, როდესაც ხაზოვანი მეთოდის გამოყენების დროს - (1000,0 –10,0) x 5%=49,5 ათას ლარს. გასათვალისწიმებელია, აგრეთვე, რომ ანუიტეტების მეთოდით საბალანსო ღირებულების ჩამოწერა პირველ წლებში ხდება უფრო ნელა ცვეთის განსაზღვრის ხაზოვან მეთოდთან შედარებით; ასე რომ, ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულების ნახევრის ამორტიზაცია ანუიტეტების მეთოდით ხდება 15 წელიწადში, ხოლო ხაზოვანი მეთოდით - 10 წელიწადში.

საექსპლუატაციო ხარჯები

ეს ხარჯები მოიცავს [4,5]:

- ელექტრონული და ელექტრომექანიკური მოწყობილობის მოდერნიზაციის ხარჯებს;
- მომსახურების და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტის ხარჯებს;
- მუდმივ საექსპლუატაციო (სამელიორაციო სისტემის მოვლა-შენახვის) ხარჯებს;
- მომსახურე პერსონალის ხელფასს და ზედნადებ ხარჯებს;
- ხარჯებს წყალმოსარგებლის ტექნიკურ დახმარებაზე;
- სატუმბი სადგურის ელექროენარგიის, ასევე გათბობის, განათების, სატრანსპორტო და ა.შ. ხარჯებს.

ძირითადი დასკვნები

1. საქართველოს საირიგაციო სისტემებზე 2014 წელს წყალაღებამ საშუალოდ შეადგინა 16,3 ათასი მ^3 ფაქტობრივად მორწყულ 1 ჰა ფართობზე, ხოლო წყალმიწოდებამ - 9,07 ათასი მ^3, რაც 7,5-ჯერ აღემატება სარწყავ ნორმებს;
2. პირდაპირი გაგებით ძვირფასი და არააღდგენადი წყლის რესურსების ბოლო წლებში ჩამოყალიბებული არაეფექტური და უყაირათო ხარჯვა აშკარად მიუთითებს არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისა და ტექნიკური გადაიარაღების, მათი ფუნქციონირების საორგანიზაციო ფორმების რეორგანიზაციის აუცილებლობაზე;
3. შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს 12-14 წლის წინ წყალმიწოდების მომსახურებაზე შემოღებული სისტემა, რომლის მიხედვით მომხმარებელი ანაზღაურებს არა მოხმარებული წყლის საფასურს, არამედ სავეგეტაციო პერიოდში საკუთარი სავარგულების მორწყვის შესაძლებლობის უფლებას. ამავე დროს მნიშვნელობა არ ენიჭება მოხმარებული წყლისა და ფაქტობრივი რწყვების რაოდენობას;

4. აღნიშნული განაპირობებს ფასიან წყალმოხმარებაზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას, როდესაც გადასახადი დამოკიდებული იქნება მოხმარებული წყლის რაოდენობაზე, მის ხარისხსა და მიწოდების სტაბილურობაზე.

ლიტერატურა

1. მ. ვართანოვი, კ. იორდანიშვილი. „წყლის რესურსების ტარიფიკაციის მეთოდები, გამოყენებული სარწყავ მიწათმოქმედებაში“, „აგრარული მეცნიერების მოამბე“, ტომი 6, №4, თბილისი, 2008 (რუსულ ენაზე), გვ. 114-116;
2. მ. ვართანოვი, თ. მახარაძე. „სარწყავი წყლის მიწოდებაზე ტარიფების ოპტიმიზაციის საკითხისათვის“, „აგრარული ეკონომიკის მოამბე“, ტომი II, თბილისი, 2008 (რუსულ ენაზე), გვ. 96-99;
3. მ. ვართანოვი. „საქართველოს სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია თაბამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით“, სტუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2016;
4. მ. ვართანოვი, ე. კეჩხოშვილი. „საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ასპექტები“, სტუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2016;
5. მ. ვართანოვი, შ. კუპრეიშვილი, ე. კეჩხოშვილი. „ინვესტიციების ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მეთოდები“, სტუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2017.

TRAINING OF WATER PROFESSIONALS IN AZERBAIJAN

F. Imanov[1)], M. Asadov[2)]
[1)] Baku State University
[2)] JSC Amelioration and Water Management of Azerbaijan
Baku, Azerbaijan
E-mail: *farda_imanov@mail.ru*

INTRODUCTION

The goal of the development strategy of the Republic of Azerbaijan is to minimize the country's dependence on oil and natural gas exports by developing a number of priority sectors of the economy and its diversification. One of such priorities is the development of agriculture to improve the food supply of the population. The total area of agricultural land in Azerbaijan is 4.2 million hectares (48.8% of the country's territory), of which 1.45 million hectares are arable lands. Arable lands are mainly in the plains, which are characterized by arid climatic conditions, and therefore the cultivation of crops is possible only through irrigation. At present, there is a potential to grow agricultural products on an additional 200,000 hectares, but this work is delayed due to the shortage of water resources. Azerbaijan is among the arid countries with limited water resources. Due to climate change, the country's water resources have decreased by 10-15%. According to local and international organizations, the negative impact of climate change on water resources will continue at least until the middle of the 21st century.

Taking into account the shortage of water in the country and the situation in reservoirs, in order to increase water resources, improve the supply of drinking water and irrigation water to consumers, the President of the Republic of Azerbaijan signed an order "On additional measures to ensure efficient use of water resources" on July 27, 2020.

Currently, there is a great need for highly qualified water specialists in organizations responsible for the study and management of water resources in Azerbaijan (Ministry of Ecology and Natural Resources, State Agency for Water Resources of the Ministry of Emergency Situations, "Amelioration and Water Management"JSC, "Azersu"JSC). The need for water specialists has increased due to the need to study, use and protect water sources in the Karabakh region.In addition, at present, in the state institutions responsible for the management of water resources in Azerbaijan, most of the decision-makers at various levels are not specialists in the field of water management or hydrology.

MAIN PART

Education is one of the main backbone institutions of society that implement a wide range of socially significant functions. A feature of education in the modern world is that it is increasingly becoming the center of reproduction of the most significant innovations and best practices that determine the prospects for the development of society. A number of global trends in the development of modern education are determined by general world trends and are influenced by global social problems (Trends in the development of higher education, 2021).

To solve the problems of water supply, irrigation, drainage, etc., both surface and underground waters are used. In Azerbaijan, as well as in the republics of the former USSR, personnel training in surface and ground waters was carried out separately. Surface water specialists, i.e., hydrologists, were trained in specialized hydrometeorological institutes and geographical departments of universities, and groundwater specialists, i.e., hydrogeologists, in geological departments.

In essence, hydrology and hydrogeology are a single science. From the point of view of aspects of theory, modeling, forecasts, the existing separation of hydrogeology from hydrology is a misunderstanding.

But engineering hydrology and engineering hydrogeology differ from each other in terms of the tasks to be solved. The soil cover and the first meters of the surfacerock mass is an area of increased interest in hydrology and hydrogeology at the same time. Hydrogeology and hydrology are faced with the problem of the interaction of surface and groundwater, and each discipline considers it as its own (Vinogradov, Vinogradova, 2008).

In 1973, the Department of Hydrometeorology was established at the Faculty of Geography of Baku State University and the training of national staff in hydrology began. Admission of students to the master's degree in the same specialty has been held since 1997.

Within the framework of the UNDP project "Reducing cross-border degradation in the Kura-Aras river basin" implemented in the South Caucasus in 2011-2014, a curriculum for a master's degree in "Integrated Management of Water Resources" was developed. This curriculum was developed under the auspices of the UNESCO Institute of Hydrology in the Netherlands. It is known that sustainable development requires integrated management of natural resources, including water. With this in mind, interdisciplinary integration is envisaged in the curriculum. Thus, not only students with a bachelor's degree in hydrometeorology, but also students with a degree in geology, ecology, geography, biology, chemistry, sociology, natural resources management, management and agriculture have a master's degree in "Integrated Water Resources Management" can also be accepted. It is only required that future masters have a basic knowledge of basic natural and social sciences.

Starting from the 2016/2017 academic year, admission to this specialization is held at Baku State University.

Thus, at present, the Department of Hydrometeorology trains specialists in "Hydrology" at the undergraduate level, and "Hydrology" and "Integrated Management of Water Resources" at the master's level.

Currently, the First and Second Baku water pipelines, which play an important role in the drinking water supply of the Absheron Peninsula, as well as the water source of the Oguz-Gabala-Baku water pipeline are groundwater. In other regions of the country, groundwater is widely used for drinking water supply. With the rapid socio-economic development of Azerbaijan and population growth, the demand for water resources is growing every year. Since 1992, a specialist in "Hydrogeological Engineering" was trained at Baku State University. However, it should be noted that in 2019, the Cabinet of Ministers did not include the specialty "Hydrogeological Engineering" in the "Classification of specialties (programs) at the bachelor's level of higher education." Currently, only masters in "Hydrogeology" and "Hydrogeoecology" are trained.

Since the former USSR, the Azerbaijan University of Architecture and Construction has been training specialists in the field of water supply and land reclamation. At present, the bachelor's degree is in "Amelioration Engineering" and "Communication Systems Engineering", and the master's degree is in "Water Supply", "Wastewater Treatment and Treatment", "Protection and Integrated Use of Water Resources" and "Amelioration, Reclamation and Land Protection" staff is trained.

At present, the universities of the countries formed after the collapse of the USSR prepare bachelors and masters in various specialties: "Water resources and water use", "Integrated use of water resources", "Melioration, reclamation and land protection".

There are no special hydrometeorological universities in the countries of Western Europe and USA. The training of hydrologists is usually carried out at the natural and physical and mathematical faculties of universities, in transport and other universities (Barkhatova, 2019).

Based on the analysis of the situation in Azerbaijan with the training of water specialists, it is proposed to include a new specialty in the Classification of bachelor's degree specialties' programs of higher education - "Water Resources Engineering". When developing the curriculum of this specialty, the subjects taught in both "Hydrology" and "Hydrogeological Engineering" should be taken into account.

Currently, we face a number of serious problems in the training of water professionals.

1. A limited number of applicants consciously choose water specialties. Most high school graduates entering the first year cannot explain what "hydrology" is.

2. The level of knowledge of students admitted to the first year of bachelor's degree is low.
3. The low salaries of hydrologists in the National Hydrometeorological Service and Scientific Research Institutes are not considered prestigious among young people, and therefore they do not work hard during their studies.
4. With the change in water infrastructure, the requirements for specialists also change. We practically do not have specialists ready to work with new technologies. Our graduates are not in demand. We have to invite foreign experts. The reason for this is the low quality of education. The education program does not fully meet the requirements of employers (Mammadov, Imanov, 2020).

CONCLUSION

Hydrology is one of those professions that should be highly valued in the labor market due to its importance, but little is known about it among today's youth. It is necessary not only to inform schoolchildren and their parents more, but also to improve the quality of training of water specialists. Those responsible for water resources management in Azerbaijan should take special care of young professionals.

REFERENCES

1. Barkhatova O.A. Training of hydrologists in Russia. Modern trends and prospects for the development of hydrometeorology in Russia. Materials of the II All-Russian Scientific and Practical Conference. Irkutsk, June 5–7, 2019, pp. 121-127.
2. Vinogradov Y.B., Vinogradova T.A. Modern problems of hydrology. Moscow, Ed. Center Academy.2008-319 p.
3. Mammadov R.M., Imanov F.A. Current state of hydrological researches in Azerbaijan. Geographyandnaturalresources.№1 (11), 2020, pp.15 -26.
4. Trends in the development of higher education in the world and in Russia (analytical report-digest). Moscow, 2021.

DETERMINATION OF POTENTIAL SOIL EROSION IN THE DURUJI RIVER BASIN (NORTH-EASTERN PART OF GEORGIA) USING "RUSLE"

I. Inashvili[1)], K.Bziava[1), 2)], Z.Tsinadze[1)], N. Beraia [2)]
[1)] Georgian Technical University
Tbilis, Georgia
[2)] Tsotne Mirtskhulava Water Management Institute
of Georgian Technical University
Tbilis, Georgia
E-mail:*i.inashvili@gtu.ge, k.bziava@gtu.ge, z.tsinadze@gtu.ge*

INTRODUCTION

Modelling the process of water erosion of the soil-cover is a complex and not fully resolved problem. One of the most important tasks of erosion research is the assessment of soil erosion hazard.

Nowadays, the most effective method for determining potential soil washout is the use of the RUSLEmodel (Revised Universal Equation for Soil Loss from Erosion) based on GIS technology. It should be noted that the effectiveness of using the RUSLE model largely depends on the quantitative interpretation of the parameters included in it.

As you know, the revised universal equation of soil loss from erosion (RUSLE), developed by the U Soil Conservation Service of the U.S. Department of Agriculture of the United States (USDA SCS) is expressed as [1]:

$$A = R \times K \times L \times S \times C \times P \quad (1)$$

where A is the long-term average annual soil loss, *t*/*ha* per year;
R - the rainfall and runoff factor, *MJ*×*mm*/(*ha*×*hour*);
K - the soil erodibility factor, *t*×*ha*×*h*/(*MJ*×*mm*×*ha*);
L - the slope length factor (dimensionless);
S - the slope steepness factor (dimensionless);
C - the cover-management factor (dimensionless, varying from 0 to 1);
P - the support practice factor (dimensionless, varying from 0 to 1).

The aim of this work is to determine three factors included in the equation of soil loss from erosion (RUSLE), in particular, factors K (soil erodibility factor), C (cover-management factor), and P (the support practice factor).

It should be noted that K- soil erodibility factor represents both susceptibility of soil to erosion and the rate of runoff, as measured under the standard unit plot condition. Soils high in clay have low K values (0.05 to 0.15), because they resistant to detachment. Coarse textured soils, such as sandy soils, have low K values (0.05 to 0.2), because of low runoff even though these soils are easily detached. Medium textured soils, such as the silt loam soils, have a moderate K values (0.25 to 0.4), because they are moderately susceptible to detachment and they produce moderate runoff. Soils having high silt content are most erodible of all soils. They are easily detached; tend to crust and produce high rates of runoff. Values of K for these soils tend to be greater than 0.4 [2, 3].

The C-factor (cover-management factor) is used to reflect the effect of cropping and management practices on erosion rates. It is the factor used most often to compare the relative impacts of management options on conservation plans. The C-factor indicates how the conservation plan will affect the average annual soil loss and how that soil-loss potential will be distributed in time during construction activities, crop rotations or other management schemes [2, 3].

P is the support practice factor. The RUSLE P-factor reflects the impact of support practices and the average annual erosion rate. It is the ratio of soil loss with contouring and/or strip-cropping to that with straight row farming up-and-down slope [2, 3].

STADY AREA

The object of research is the catchment area of the river Duruji, located in Kvareli municipality (Kakheti region, north-eastern part of Georgia) (Fig. 1).



Fig. 1. Layout of Duruji river basin

Kvareli municipality belongs to the zone of moderately humid subtropical climate. Three zones are distinguished by Sea Level (Above Sea Level - ASL):

1. 1000-1200 (m) ASL – lowland regions. Average annual air temperature is 8-9 ° C;
2. 1700-1800 (m) ASL - middle mountain regions. Average annual air temperature is 5-6 ° C;
3. > 1800 (m) ASL, highland regions. The average annual air temperature is 3-4 ° C.

The maximum recorded temperature in Kvareli is 38^0C, the lowest is – 23^0C.

The maximum of precipitation is in May and the minimum is in January. Annual rainfall is 1100-2000 mm in the mountain district [4].

In Kvareli, there are mainly different types of meadow-forest non-calcareous loamy soils, which differ from each other in such parameters as: degree of stoniness and texture. Thus, 7 types of alluvial non-calcareous soils are distinguished in Kvareli [5]:

1. Deep loamy soils;
2. Deep, weakly stony, loamy soil;
3. Deep, weakly stony, loamy and sandy soils;
4. Deep, very stony, loamy and sandy;
5. deep loamy soil with groundwater level at 80 cm depth;
6. Deep and moderately deep, very wet, heavy loam soil;
7. Deep and moderately deep, boggy, loamy soil.

As for the Duruji river basin itself, several types of soils are dominated here:

1. Among them, cinnamonic leached soil;
2. Brown forest soil;
3. Weakly developed eroded soils;
4. Mountain-meadow soils;
5. Undeveloped grey-cinnamomic soil and proluvial and deluvial soils.

Duruji catchment area is bordered by Tsitelgori and Pokhali ridges, as well as by the segment of main ridge of Ninikastsikhe-Zurgisdzvali. The length of the Duruji River is actually 19.8 km, and the length of the straight line is 14.6 km. In addition, research has established that the drainage area of the Duruji River is 9402.48 ha, of which 75.1% is an erosion-hazardous zone [6].

METHODOLOGY

Determination of K factor

Currently, in practice, several methods are used to indirectly assess the factor of soil erosion. Among them, in our calculations we used the widespread Sharpley–Williams equation [7, 8]:

$$K = 0.1317 \times f_{csand} \times f_{cl} - f_{orgC} \times f_{hisand} \quad (2)$$

where

$$f_{csand} = \left\{0.2 + 0.3 \times exp\left[-0.0256 \times m_s \times \left(1 - \frac{m_{silt}}{100}\right)\right]\right\} \quad (3)$$

$$f_{cl-si} = \left(\frac{m_{silt}}{m_c + m_{silt}}\right)^{0.3} \quad (4)$$

$$f_{orgC} = \left[1 - \frac{0.25 \times orgC}{orgC + exp[3.72 - 2.95 \times orgC]}\right] \quad (5)$$

$$f_{hisand} = \left[1 - \frac{0.70 \times \left(1 - \frac{m_s}{100}\right)}{\left(1 - \frac{m_s}{100}\right) + exp\left[-5.51 + 22.9\left(1 + \frac{m_s}{100}\right)\right]}\right] \quad (6)$$

where m_s, $m_{silt}$and $m_c$is the proportion of sand, silt and clay contained in the soil,%; *orgC* - organic carbon content.

Soil variable data are taken from the world map developed by the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO) [9]. The soil data of the Duruji River Basin are shown in Table 1.

Table 1. Duruji River Basin Soil Data

Soil unit symbol	Sand % topsoil	Silt % topsoil	Clay % topsoil	OC % topsoil
I	58,9	16,2	24,9	0,97
BC	40,1	21,5	38,4	1,44

The stages of calculating the factor *K*: soil map → soil type →*K* factor.

Determination of C factor

The *C* factor is the second most important factor that controls soil erosion risk, and it reflects the effect of cropping and management practices on the soil erosion rate. Generally, the *C* factor ranges between 1 and 0. *C* equal to 1 indicates no cover present and the surface is treated as barren land, where as *C* near zero (0) indicates very strong cover effects and well-protected soil.

Many researchers calculated the *C* factor with different equations, but the equation suggested by Durigon [10] is used in this study:

$$C = \frac{-\text{NDVI}+1}{2} \quad (7)$$

For Landsat 8 data [11]:

$$NDVI = (Band\ 5 - Band\ 4)/(Band\ 5 + Band\ 4) \quad (8)$$

where Band 4-red. Wavelength 0.64-0.67. This map is useful for mapping discriminates vegetation slopes;
Band 5-near Infrared (NIR). Wavelength 0.85-0.88. This map is useful for mapping emphasizes biomass content and shorelines.

The stages of calculating the factor *C*: Landsat data → NDVI value →*C* factor.

Determination of P factor

P factor is defined as theimpact of landuse or farmingsystem on the soil erosion.The *P* factor adjustst hepotential erosion by waterrunoff through implementing the effects of contouring, strip cropping, and terraced contour farming. If there is no erosion control solution, then *P* value should be 1.0 [12].

Table 2 shows the value of support practice factor (*P*) according to the cultivating methods and slope [13]. The *P* value range 0 to 1 where 0 represents very good manmade erosion resistance facility and 1 represents no manmade erosion resistance facility.

Table 2. Support practice factor according to the types of cultivation and slope

Slope (%)	Contouring	Strip Cropping	Terracing
0.0-7.0	0.55	0.27	0.10
7.0-11.3	0.60	0.30	0.12
11.3-17.6	0.80	0.40	0.16
17.6-26.8	0.90	0.45	0.18
>26.8	1.00	0.50	0.20

The stages of calculating the factor *P*: Slope map →Pfactor.

The calculation was carried out in the ArcMap 10.2.2 program based on DEM images with a resolution of 30 meters received from USGS (United States Geological Survey Agency), Landsat 8.

RESULTS AND DISCUSSION

For clarity, below are given (Figures: 2, 3, 4, 5, 6) the results obtained by applying the above methodology.



Fig. 2. Soils Erodibility Factor *K*





Fig. 3 & 4. Reclassified map of normalized difference vegetation index (NDVI) and cover-management factor *C*

The NDVI value varies from -1 to 1. Higher the value of NDVI reflects high Near Infrared (NIR), means dense greenery. Generally, we obtain following result (see Fig. 3) [11]:

- NDVI = -1 to 0 represent Water bodies – Non-Vegetation;
- NDVI = -0.1 to 0.1 represent Barren rocks, land, sand, or snow – Sparse-Vegetation;
- NDVI = 0.2 to 0.5 represent Shrubs and grasslands or senescing crops – Moderate Vegetation;
- NDVI = 0.6 to 1.0 represent Dense (Healthy) vegetation or tropical rainforest.





Fig. 5 & 6.Duruji River Basin's slope map (in degree) and the support practice factor*P*

Analyzing the calculations performed, the following conclusions can be drawn:

- Investigating the soil data of the Duruji river basin, obtained according to the classification of FAO (Food and Agriculture Organization of the United Nations), it was found that in the studied region, two types of soil are mainly distributed (I and BC) (Table 1);
- Accordingly, soils erodibility factor *K* is 0.0159 (min) and 0.0183 (max).
- Cover-management factor *C* ranges from 0.221 to 0.568. Based on the fact that the value of the C factor can vary from 0 to 1 and 0 indicates very strong cover effects and well-protected soil, it can be concluded that most of the territory of the Duruji River basin is at risk of water erosion;
- The support practice factor (*P*) varies from 0.55 to 1 depending on the slope and cultivation practice.

The results obtained indicate that even in the developed territory, where the erosion control resistance facility is currently located, the *P* factor is 0.55, while 0 represents a very good manmade erosion resistance facility.

Based on the abovementioned, it becomes obvious that in order to preserve the integrity of the soil and prevent water erosion in the territory of the Duruji river basin, along with agro-reclamation measures, it is necessary to revise the existing irrigation and reclamation structures and select new protective measures.

REFERENSES

1. Renard, K.G., Foster, G.R., Weesies, G.A., NcCool, D.K., Yoder, D.C. (1997). Predicting soil erosion by water: A guide to conservation planning with the revised universal soil loss equation (RUSLE). *Agricultural handbook, 703.* USDA, 407p.
2. NRCS: USDA State Office of Michigan, Technical Guide to RUSLE Use in Michigan. (2002), 116p.
3. <http://www.iwr.msu.edu/rusle/kfactor.htm> (June 12, 2021).
4. Alpenidze, M., Sepertelidze, Z., Davitaia, E., Kharadze, K. (2012). Physical geography of Georgia. Publishing house "Universali", Tbilisi, 237p. (*in Georgian language*).
5. Sabashvili, M. (1970). Soil Science. Publishing House "Tbilisi University", Tbilisi, 354p.
6. Inashvili I., Bziava K., Denisova I., Shogiradze M. (2021). Determination of Slope Length and Steepness Factor (LS) For Duruji River Basin. Engineering and Technology Journal e-ISSN: 2456-3358, Volume 06, Issue 06, June-2021, pp. 932-935. DOI: 10.47191/etj/v6i6.07, I.F. – 6.39.
7. Anache, J., Bacchi, C., Panachuki, E., AlveSobrinho, T. (2015). Assessment of methods for predicting soil erodibility in soil loss modeling // Geociências, 34(1), pp.32-40.
8. Wawer, R., Nowocieñ, E., Podolski, B. (2005). Real and Calculated *K*RUSLE Erodibility Factor for Selected Polish Soils. *Polish Journal of Environmental Studies,* 14(5), pp.655-658.
9. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). (2003). Digital Soil Map of the World. <https://data.apps.fao.org/map/catalog/srv/eng/catalog.search?id=14116#/home> (June 12, 2021).
10. Durigon, V.L., Carvalho, D.F., Antunes, M.A.H., Oliveira, P.T.S., Fernandes, M.M. (2014). NDVI time series for monitoring RUSLE cover management factor in a tropical watershed. International Journal of Remote Sensing, 35(2), pp. 441-453.
11. Inashvili, I., Bziava, K., Denisova, I., Shogiradze, M. (2021). Determination of Normalized Difference Vegetation Index using remote sensing and GIS (River Duruji Basin, Kvareli Municipality, Georgia). (2021). Proceedings of the Conference "XXIX International Scientific and Practical Conference International Trends in Science and Technology". Founder: RS Global Sp.z O.O., Scholarly Publisher, Warsaw, Poland, May 30, 2021, Warsaw, Poland, pp. 3-9. ISBN 978-83-961179-4-6
12. Wischmeier, W.H., Smith, D.D. (1978). Predicting rainfall erosion losses - a guide to conservation planning. The USDA Agricultural Handbook No. 537, Maryland.
13. Shin, G. J. (1999). The Analysis of Soil Erosion Analysis in Watershed Using GIS. Ph.D. Dissertation, Department of Civil Engineering, Gang-Won National University, Chuncheon.

ელექტროენერგიის წარმოებისთვის საქართველოს ჰიდრორესურსების გამოყენების ეფექტურობა

ი. იორდანიშვილი, მ. ვართანოვი, კ. იორდანიშვილი, ლ. ბილანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
E-mail: irinaiord48@mail.ru

შესავალი

იუნესკოს მონაცემებით მსოფლიოში მდინარის მდინარეული ჩამონადენის მოთხოვნილება გაიზარდა 25%-ით, ხოლო წყლის რესურსების მარეგულირებელი ეფექტური შესაძლებლობა შეინიშნება მთისა და მთისწინეთის რეგიონებში.

მთავარი ნაწილი

პირველი წყალსაცავიანი სისტემები ეგვიპტეში 5000 წლის წინ აშენდა. წყალსაცავების მშენებლობის მნიშვნელოვანი განვითარება შეიმჩნევა შუა საუკუნეებში თითქმის ყველა კონტინენტზე [Иорданишвили И. К., Иорданишвили К.Т., 2012]. წყალსაცავების აგების დასაწყისი გასული საუკუნის შუა წლებით თარიღდება. 2021 წლისთვის პლანეტაზე 40 000-მდე წყალსაცავი ფუნქციონირებს (ნახ. 1).



ნახ. 1. მსოფლიოს მსხვილი წყალსაცავების რაოდენობისა (1) დასრული მოცულობის (2) ზრდის დინამიკა (მოცულობით 1 მლნ მ³-ზე მეტი)

მთის წყალსაცავებისა და მათი კასკადების შექმნა განპირობებულია ფერდობის მნიშვნელოვანი დამრეცობით, მთის ფერდობების სიმტკიცით, წყალგაუმტარებლობითა და სიღრმით. წყალსაცავების ფუნქციონირების ანალიზმა აჩვენა, რომ მთისა და მთისწინეთში მდებარე წყალსაცავებს მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვთ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთის წყალსაცავების ინტენსიური მშენებლობა ნორვეგიაში, შვეიცარიასა და იტალიაში.

ნორვეგია ქვეყანაა, რომელსაც აქვს ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდესი მარაგი, ამ რესურსებს მინიმუმამდე იყენებს. ნორვეგიის ჰიდროელექტროსადგურები გამოიმუშავებს 143 მლრდ კვტ/სთ-მდე, თბოელექტროსადგურები კი - მხოლოდ 6 მლრდ კვტ/სთ-ს. ნორვეგიის ტერიტორიაზე, რომლის ფართობია 324,220 კმ², ცხოვრობს 5.3 მლნ მოსახლეობა, შეიქმნა 1000-ზე მეტი წყალსაცავიანი სისტემა ჰიდროელექტროსადგურებით. ნორვეგია ჰიდროელექტრო-

ენერგიის გამომუშავებით ევროპაში პირველ ადგილზეა, ხოლო მსოფლიოში მეექვსე. ქვეყანა ელექტროენერგიას მეზობელ ქვეყნებზეც ყიდის, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბიუჯეტში.

შვეიცარიაში უკვე გამოყენებულია მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის 95%. აქ ფუნქციონირებს 200-ზე მეტი ღრმა მთის წყალსაცავი, რომლებზეც 450-ზე მეტი ელექტროსადგური მუშაობს. შვეიცარიის ტერიტორია (ფართობი 41 290 კმ^2) გეომორფოლოგიური მახასიათებლებით საქართველოს მსგავსია (ფართობი 69 700 კმ^2), ორივე სახელმწიფო მდებარეობს დედამიწის ერთსა და იმავე გრძივ სარტყელში (44° -47°). შვეიცარიაში ჰიდროელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 35 მლრდ კვტ/სთ-ზე მეტი, რაც სრულად უზრუნველყოფდა მის ელექტროენერგიის მოხმარებას.

იტალიაში მხოლოდ მდინარე პოს აუზში არის 120-ზე მეტი წყალსაცავიანი სისტემა ელექტროსადგურებით.

იაპონიამ, მძიმე სეისმური (9 ბალამდე) და მეწყრული პირობების მქონე ქვეყანამ, სრულად დაარეგულირა თავისი მდინარეები, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რაოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავებას უზრუნველყოფს.

წყალსაცავების კასკადები გავრცელდა აგრეთვე ციმბირის მთისა და მთისწინეთში, შუა აზიაში, სომხეთში, იტალიაში და ა.შ.

საქართველოს წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით - ჰიდროგრაფიული ქსელის სიმკვრივით, ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებითა და რელიეფის ჰიფსომეტრიული სიმაღლეების მნიშვნელოვანი განსხვავებით. საქართველოში ჰიდროგრაფიული ქსელი არათანაბრად არის განვითარებული. მისი უფრო დიდი წყლოვანობა ფიქსირდება დასავლეთ საქართველოში. ამასთან, მდინარეების წყლის წყლოვანობა მცირდება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 100 ლ/წმ-დან 2 ლ/წმ-მდე კმ^2-ზე. საქართველოს ტერიტორიაზე 26 060 მდინარეა. დასავლეთ საქართველოს წყალზე მოთხოვნა არსებითად დაფარულია მისი ბუნებრივი ჩამონადენით. ენერგეტიკული მიზნებისთვის არსებობს წყალსაცავების მშენებლობის რეალური შესაძლებლობები. აღმოსავლეთ საქართველოს დაძაბული წყლის ბალანსი განაპირობებს ჰიდროტექნიკური სისტემების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავებასა და სარწყავ წყალმომარაგებას. წყალსაცავების ფუნქციონირებით შესაძლებელია რეგიონის წყლის რესურსების 60-70%-ით გაზრდა, მდინარეული ჩამონადენის წელიწადში რამდენჯერმე გამოყენებით. საქართველოს მდინარეების ხეობებს ახასიათებს „ახალგაზრდა“ V-ს ფორმის პროფილი, მაღალი ნაპირები მცირე ტერასის სიგანით. რელიეფური წარმონაქმნები განსაზღვრავენ წყალსაცავის მორფომეტრიის სპეციფიკურ მახასიათებლებს (აუზის მაღალი ჰიფსომეტრიული სიმაღლე და წყალსაცავის წყლის ზედაპირი - 400,0 მ-ზე მეტი ზღვის დონიდან, სანაპირო ფერდობების მნიშვნელოვანი სიღრმე), ექსპლუატაციურ რეჟიმს (წყლის დონის მნიშვნელოვანი რყევები). საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი 29 წყალსაცავია 1 მლნ მ^3-ზე მეტი მოცულობით (საერთო მოცულობა 3,157 კმ^3), ცხრილი 1, ნახ. 2.

ცხრილი 1

საქართველოში არსებული წყალსაცავების მორფოლოგიური პარამეტრები

ნახ.2-ის მიხედვით	№	წყალსაცავის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები			გამოყენების ტიპი	ექსპლუატაციის დაწყების წელი
			$V_{სრ.}$, კმ^3	F, კმ^2	$V_{სპ}/F$,მ		
1	2	3	4	5	6	7	8
მსხვილი> 1 კმ^3							
1	1	ჯვრის (ენგურის)	1,092	13,48	81,00	ე	1978
საშუალო 0,1÷1,0 კმ^3							
15	2	ჟინვალის	0,520	11,52	45,20	ეი	1985
24	3	სიონის	0,325	11,40	28,50	ი, ე	1963
19	4	ხრამის (წალკის)	0,312	34,00	9,17	ე	1947

25	5	თბილისის (საპროექტო)	0,308	11,80	26,10	ე, ი	**1956**
2	6	გალის	0,145	8,00	18,14	ე	**1972**
მცირე< 0,1 კმ³							
7	7	ტყიბულის	0,084	11,50	7,30	ე	**1956**
3	8	შაორის	0,071	13,20	5,37	ე	**1955**
17	9	ალგეთის	0,065	2,30	28,0	ი	**1983**
10	10	ჯანდარის	0,052	12,50	4,16	ი	**1967**
14	11	ზონკარის (პატარა ლიახვის)	0,040	1,40	28,60	ი	**1985**
5	12	გუმათის	0,039	2,40	16,30	ე	**1958**
4	13	ლაჯანურის	0,024	1,40	17,10	ე	**1960**
6	14	ვარციხის	0,0146	5,07	2,88	ე	**1976**
9	15	ზაჰესი	0,012	2,00	6,00	ე	**1927**
22	16	იაკუბლო	0,011	2,00	5,00	ი	**1981**
უმცირესი< 0,01 კმ³							
13	17	ნადარბაზევის	0,0082	2,00	4,10	ი	**1966**
16	18	ნარეკვავის	0,0068	0,56	12,10	ი	**1978**
21	19	პანტიანის	0,0053	0,62	9,04	ი	**1978**
31	20	კუშისხევის	0,0040	0,65	6,15	ი	**1976**
27	21	კუდიგორას (ლაპიანის ხევი)	0,0035	3,00	1,16	ი	**1971**
20	22	მთისძირის	0,0033	0,82	4,06	ი	**1981**
11	23	ზრესის	0,00208	1,77	1,17	ი	**1976**
8	24	კუხის	0,0019	0,30	2,71	ი	**1978**
28	25	ოქტომბრის	0,0017	0,23	7,60	ი	**1976**
26	26	ჭალის	0,0017	0,35	4,85	ი	**1968**
12	27	ცხენის ჭა (უდე)	0,0015	0,30	5,00	ი	**1969**
32	28	თავწყაროს	0,0013	0,255	0,57	ი	**1986**
18	29	მარაბდის	0,0012	0,23	5,22	ი	**1964**
			∑ =3,157				
აღნიშვნები: ე – ენერგეტიკა; ი – ირიგაცია.							



ნახ. 2. საქართველოს1 მლნ მ³ მოცულობის წყალსაცავების მდებარეობა
(წყალსაცავების დასახელება შესაბამისი ნუმერაციით მოცემულია ცხრილში 1)

საქართველოში 230-მდე მდინარეა, რომლებიც ხასიათდება სათავესა და შესართავს შორის მნიშვნელოვანი სიმაღლის სხვაობით, მათი გამოყენება ჰიდროელექტროსადგურების შესაქმნელად ძალზე ეფექტურია. საქართველოს მდინარეების ჰიდროპოტენციური სიმძლავრეა 25,0 მლნ კვტ/სთ, რაც შეესაბამება 220,0 მლრდ კვტ/სთ/წელიწადში ჰიდროელექტროენერგიის პოტენციურ გამომუშავებას. 2020 წელს საქართველოში მხოლოდ 9,691 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია გამომუშავდა, რაც პოტენციური წარმოების 4,5%-ს შეადგენს, ცხრილი 2.

ცხრილი 2

ელექტროენერგიის ფაქტობრივი წარმოება საქართველოში

ელექტროენერგიის მთლიანი გამომუშავება, მლრდ კვტ/სთ/წელი	ადგილობრივი ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავება, მლრდ კვტ/სთ/წელი	ელექტროენერგიის იმპორტი, მლრდ კვტ/სთ/წელი	ადგილობრივი ალტერნატიული ელექტროენერგია, მლრდ კვტ/სთ/წელი (თერმული, ქარის, მზის)
13,191	9,691	2,0	1,5

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 6 **ქარის** ელექტროსადგური 0,018 მლნ კვტ სიმძლავრით, ჯამური გამომუშავება 0,16 მლრდ კვტ/სთ-მდეა. ქარის ელექტროსადგურების მუშაობისთვის საჭიროა 6 მ/წმ-ზე მეტი ქარის სიჩქარე (10 მ სიმაღლეზე). მათ მუშაობას თან ახლავს ხმაური (20 ჰც-მდე) და სატელევიზიო გადაცემების ეკრანირება, ფრინველების გადაფრენის მარშრუტების შეცვლა, ტურბინების ფრთების შესაძლო განადგურება, ქარის ელექტროსადგურების განთავსება მოითხოვს მნიშვნელოვან მიწის ფართობებს; ტურბინების ქვეშ ბიოფაუნის განვითარება პრაქტიკულად ჩერდება. ეს ყველაფერი საქართველოში ქარის ელექტროსადგურების გამოყენებას არაეფექტიანს ხდის.

თბოელექტროსადგურები უარყოფითად აისახება გარემოს მთელ რიგ ელემენტებზე: სახნავი მიწების გასხვისება და დაბინძურება, ჰაერისა და წყლის ტემპერატურის ცვლილება და ა.შ. ატმოსფეროს დასუფთავების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების მიუხედავად, საქართველოში ახალი თბოელექტროსადგურების მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის.

მზის ელექტროსადგურების შექმნას მნიშვნელოვანი ტერიტორიები სჭირდება, ამას თან ახლავს ტერიტორიების დაჩრდილვა, ჰაერისა და წყლის ტემპერატურის მატება; მუშაობს მხოლოდ დღის საათებში; მათი შექმნა მოითხოვს ძვირადღირებული სამშენებლო მასალების მნიშვნელოვან რაოდენობას. მზის ელექტროსადგურებს საქართველოში მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ დიდი სიმძლავრის მზის ელექტროსადგურების შექმნა აქ არ არის მომგებიანი.

რაც შეეხება **ატომურ ელექტროსადგურებს,** ჩერნობილისა (უკრაინა) და ფუკუსიმას (იაპონია) ცნობილი კატასტროფების შემდეგ, საქართველოში მათი შექმნის საკითხი არ დამდგარა.

საქართველოში ელექტროენერგიის მიღება შესაძლებელია **სარწყავი და სადერივაციო** არხებიდან, რომელთა პოტენციური გამომუშავება 0,15 მლრდ კვტ/სთ-ს აღწევს. სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურების რისკ-ფაქტორების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურების რისკ-ფაქტორი

ელექტროსადგურის ტიპი	შესაძლო რისკ-ფაქტორები
თბოელექტროსადგურები	ატმოსფეროსა და წყლის ობიექტების დაბინძურება
მზის ელექტროსადგურები	ელექტრომოწყობილობების ავარიები
ქარის ელექტროსადგურები	ტურბინის ფრთების გატეხვისა და ძლიერი ქარის შემთხვევაში მათი 100.0 მ მანძილზე გადაგდების რისკი
ატომური ელექტროსადგურები	ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს რადიაციული დაბინძურება
ელექტროსადგურები სარწყავ სისტემებზე	მიწის კაშხლების ნგრევა
ჰიდროელექტროსადგურები	-

ვინაიდან საქართველო ბუნებრივ აირს საზღვარგარეთ ყიდულობს (რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი), იმპორტიორ ქვეყნებზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა-ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურებზე ელექტრო-ენერგიის გამომუშავებაა. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ჰიდროელექტროსადგურებს შეუძლიათ გამოიმუშაონ მისთვის საჭირო ელექტროენერგიის 80%-მდე. ამის მიუხედავად,

ბოლო პერიოდში ქვეყანაში დაიწყო მოძრაობა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა თავისი არსით აბსოლუტურად დილეტანტურია, მას შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების კასკადი მდებარეობს მდ. რიონზე წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, ლაჯანურის წყალსაცავის ქვედა აუზსა და გუმათი ჰესის ზედა აუზს შორის, ჰიფსომეტრიული სიმაღლეები ∀205.0-დან ∀357,0მ-მდე. კასკადის დადგმული სიმძლავრე იქნება 433 მეგავატი (1500 გვტსთ/წელი), საიდანაც 333 მეგავატი გამომუშავდება ნამახვანი-ჟონეთ ჰესზე, ხოლო 100 მეგავატი - ტვიშ-ჰესზე. წყალსაცავები - დღეღამური რეგულირებისაა. ნამახვანი-ჟონეთის ჰიდროელექტროსადგურის ქვედა საფეხურის ძირითადი პარამეტრებია: წყალსაცავის დონის ნიშნულები - მაქსიმალური - ∀max = 311,5 მ, მინიმალური - ∀მინ = 294,5 მ; წყალსაცავის ზედაპირის კატასტროფული ნიშნული ∀max=314,0 მ; სრული მოცულობა – $V_{სრ}$ =167,5 მლნ მ³; სარკის ფართობი ნშდ-ზე - 510 ჰა; სასარგებლო მოცულობა -73,5 მლნ მ³; ბეტონის გრავიტაციული კაშხლის- H=105,0 მ; სიგანე - 6,5 მ; სიგრძე - 270,0 მ; ხარჯი - $Q_{ტურბ.}$=334,0 მ³/წმ; დადგმული სიმძლავრე - 324,0 მგვტ. ექსტრემალურ შემთხვევაში წყალსაცავიდან წყლის სწრაფი გაშვება ხორციელდება ფსკერული წყალგაშვების გამოყენებით. წყალსაცავიდან წყლის დონის უეცარმა დაწევამ არ უნდა გამოიწვიოს ნაპირების მნიშვნელოვანი ეროზია, რადგან ნაპირები შედგება კლდოვანი ქანებისგან. ტერიტორია, რომელზეც შეიქმნება ნამახვანის ჰიდროკვანძი, რიონის ხეობის ტერიტორიის მხოლოდ 2,9%-ს შეადგენს, ჰიდროელექტროკომპლექსის მშენებლობაზე საქართველოს მოსახლეობის 1700 ადამიანი დასაქმდება, რაც მშენებელთა საერთო რაოდენობის 80%-ია; ჰესების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის მომზადდება 400-მდე სპეციალისტი, პროფესიული ჰიდროელექტრო-კომპლექსის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას. მოსახლეობის დაბრუნებას ადრე მიტოვებულ საცხოვრებელ ადგილებში, ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებას. ჰიდროელექტროკომპლექსის ტერიტორიაზე კარსტული ქანები არ შეინიშნება, ისინი გვხვდება მხოლოდ მის ზედა ნაწილში, სადაც გამოქვაბულების დატბორვის საფრთხე არ არსებობს. ნამახვანის ჰიდროელექტროკომპლექსის ქვედა საფეხურზე კარსტული მღვიმეები არ არის. წყალსაცავის ტერიტორიაზე ფილტრაციის პროცესები არ შეინიშნება, ხეობაში კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება; ჰიდროელექტროკომპლექსი არ ემუქრება კოლხურ ზუთხს, რადგან თევზის ეს სახეობა ამ აუზში არ არის. ცნობილი მეცნიერის დ. მირცხულავას მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა ნამახვანის ბეტონის კაშხლის მაღალი სეისმომედეგობა. ამდენად, ჰიდროელექტროკომპლექსის შექმნა გარემოში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გამოიწვევს.

შევჩერდეთ კაშხლების ნგრევის საკითხზე [Вартанов М.В., Иорданишвили И.К., Кечхошвили Э.М., Бераиа Н.К., 2020 წელი; Иорданишвили И.К., Хосрошвили Е.З., Иорданишвили К.Т., Вартанов М.В., 2013]. დაზიანება და ავარია კაშხლის ისეთი მდგომარეობაა, რომლის აღდგენის შემდეგ შესაძლებელია წყალსაცავის ნორმალური ფუნქციონირება. კატასტროფა არის ისეთი დაზიანება, რომელიც იწვევს კაშხლის წყობიდან გამოსვლას და ის წყვეტს ფუნქციონირებას. კატასტროფას თან ახლავს ადამიანთა მსხვერპლი. მსოფლიოში კაშხლის ავარიის 4 000-მდე შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი ნგრევა ხდება მიწის კაშხლებზე, სადაც საშიშროება წარმოდგენილია ტალღის ზემოქმედებით, სუფუზიური პროცესებით, კაშხალზე წყლის გადმოდინებით, წყალდიდობით, კაშხლის ჯდენით, გამორეცხვით, ფილტრაციით, ცხრილი 4 [Иорданишвили И.К., Иорданишвили К.Т., 2012].

მსოფლიოში დაფიქსირდა ბეტონის კაშხლის კატასტროფის მხოლოდ 2 შემთხვევა: სენტ-ფრანსის კაშხალი (საფრანგეთი) განადგურდა წყალსაცავის ტაფობში კონგლომერატების გარეცხვის შედეგად, დაიღუპა 450 ადამიანი (1928 წ.); მალ-პას-ის კაშხალი (საფრანგეთი) დაინგრა წყალსაცავის ტაფობში მიკრობზარების შედეგად, დაიღუპა 42 ადამიანი (1959 წ.). ვაიონტის 220.0 მ სიმაღლის ბეტონის კაშხალზე წყლის გადადინების გამო 2500 ადამიანი დაიღუპა. კაშხალს ნგრევა არ მოჰყოლია. წყლის გადადინება კაშხალზე გამოიწვია მარჯვენა სანაპიროზე მეწყერის ჩამოწოლამ (1963 წ.).

ცხრილი 4

ადამიანების მსხვერპლი მსოფლიოს უდიდესი კაშხლების კატასტროფების გამო

№	კაშხალი	ქვეყანა	კატასტროფის წელი	კაშხლის ტიპი	მსხვერპლთა რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	მალ-პასე	საფრანგეთი	1959	ბ	42
2	ბუზეი	საფრანგეთი	1881	ქ	90
3	ზერბინი	იტალია	1935	ქ	100
4	აუსტინი	აშშ	1911	მ	100
5	აპალაჩი	აშშ	1902	მ	120
6	რიბადელიგო	ესპანეთი	1959	ქ	140
7	ვილიამსბურგი	აშშ	1874	მ	143
8	მილრივერი	აშშ	1874	მ	144
9	ულსტან-გროდვი	აშშ	1880	ქ	150
10	უელნოდ-გრუნი	აშშ	1890	ქ.მ	150
11	ელ-კობრე	ჩილე	1965	მ	200
12	დეილ-დაკი	ინგლისი	1854	მ	250
13	შეფილდი	ინგლისი	1864	მ	238
14	ხიოკირი	ჩრდილოეთ კორეა	1965	მ	250
15	ფრანცისკვიტი	აშშ		მ	400
16	სენტ-ფრენსისი	საფრანგეთი	1928	ბ	450
17	ბერგამო	იტალია	1923	ქ	600
18	გლენო	იტალია	1923	მ	600
19	პუენტისი	ესპანეთი	1802	მ	650
20	ოროსი	ბრაზილია	1860	ქ	1000
21	მაჩხუ II	ინდოეთი	1979	ქ	2000
22	ჯონსტონი	აშშ	1893	მ	2200
23	სოუფორსი	აშშ	1962	მ	2500
24	ვაიონტი	იტალია	1963	ბ	2600
25	გუჯაროცი	ინდოეთი	1979	მ	15000
26	რუკხუა	ჩინეთი	1975	მ	>200000

კაშხლები: ქ-ქვის; მ-მიწის; ბ-ბეტონის, ქ.მ.- ქვამიწის

მთლიანობაში, მსოფლიოში 600-მდე კაშხალი იყო დანგრეულო.

საქართველოში დაზიანდა სხვადასხვა ტიპის კაშხლები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო წყნეთის თიხის კაშხალზე წყლის გადადინება (1980 წლის 14 მაისი), სადაც 12 მ-ის წყლის სიმაღლე გადმოვიდა კაშხლიდან. თიხის კაშხლის ნგრევის შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა, ნახ. 3.



ნახ. 3. დაბა წყნეთის კაშხლის კატასტროფა (1980 წ.)

1. კაშხლის ტანი; 2. თიხის ფენა; 3. კაშხლის გარეცხილი ნაწილი

დალის-მთის თიხის კაშხლის თხემზე წყლის გადადინების შედეგად წყალსაცავი აღარ ფუნქციონირებს.

2010 წლის აპრილში ინტენსიური წვიმების შედეგად, ჭერემის წყალსაცავში დაფიქსირდა წყლის დონის მკვეთრი მატება, ნაპირების ეროზია, ბეტონის ფილების ჩამორეცხვა წყალსაგდების სათავეებში და ხიდის დანგრევა. წყლის გამოდინების შესაძლებლობის გამო სახიფათო ვითარება შეიქმნა ქალაქ გურჯაანისთვის. განსაკუთრებული სიტუაციის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ოპერატიულად მიიღეს შესაბამისი ზომები: კატასტროფული წყალსაგდები გამაგრდა ქვიშის ტომრებით, მიმართული აფეთქებით გასუფთავდა საირიგაციო მილი. გატარებული ღონისძიებების შედეგად წყალსაცავში წყლის დონე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ამჟამად წყალსაცავი არ ფუნქციონირებს.

დასკვნა

მაღალი ბეტონის თაღოვანი კაშხლები ყველაზე უსაფრთხოა მსოფლიოში, ასევე ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერგიის მიღების ყველაზე ეფექტური გზაა.

დასავლეთ საქართველოში მდ. რიონზე ჰესის მშენებლობა უზრუნველყოფს 433 მგვტს/წელიწადში ელექტროენერგიის მიღებას. ჰიდროელექტროკომპლექსის ფუნქციონირება ხელს უწყობს ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებას.

ლიტერატურა

1. Вартанов М.В., Иорданишвили И.К., Кечхошвили Э.М., Бераиа Н.К. К вопросу прогнозирования аварий и катастроф на действующих водохранилищах Грузии. Сб. докладов Научно-практической интернет-конференции. Тбилиси, 2020 г., стр. 49-59;
2. Иорданишвили И.К., Иорданишвили К.Т. Вопросы эко-эволюции горных водохранилищ Грузии. Универсал, Тбилиси, 2012 г., 186 стр. (монография);
3. Иорданишвили И.К., Хосрошвили Е.З., Иорданишвили К.Т., Вартанов М.В. Анализ аварий и катастроф плотин мира. Сб. докладов III–ей Международной научно-технической конференции «Современные проблемы охраны окружающей среды, архитектуры и строительства», Универсал, Тбилиси, 2013 г., стр. 81-87.

წყლის ხარისხის ფორმირება და თვითწმენდის პროცესები ჟინვალის წყალსაცავში*)

კ. იორდანიშვილი, ი. იორდანიშვილი, ე. ხოსროშვილი,
მ. მღებრიშვილი, ი. ქუფარაშვილი, ნ. კანდელაკი, ლ. ბილანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
E-mail: kostaior@mail.ru

შესავალი

წყალსაცავების წყლის ხარისხი ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია, რომელიც განსაზღვრავს წყალსაცავებისა და მდინარეების წყლის რესურსების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას [1,2,3].

წყალსაცავების შექმნა და ექსპლუატაცია დაკავშირებულია პოტენციური მომხმარებლის ინტერესებთან, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო და ურბანული ტერიტორიების სასმელი წყლით უზრუნველყოფა; სამრეწველო და თევზის მეურნეობის განვითარება; სანაპირო ზონის რეკრეაციული მიზნით ათვისება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მომხმარებელი უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია წყალსაცავის წყლის ხარისხით, ვინაიდან მხოლოდ წყლის დასაშვები ხარისხი გვაძლევს წყალსაცავების აქტიური მართვის შესაძლებლობას.

წყლის ხარისხი წყალსაცავებში დამოკიდებულია ბუნებრივი და სამეურნეო ჩამონადენის ფორმირების პირობებზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წყალი ნორმირდება წყალმოხმარების კონკრეტული მიზნების მიხედვით, მაგალითად: წყლის სასმელ-სამეურნეო მოხმარებისათვის - ნორმატივების მალიმიტირებელს წარმოადგენს ეპიდემიური უსაფრთხოება, ფიზიკური თვისებები (სუნი, გემო, მჟავიანობა და ა. შ.), ქიმიური შემადგენლობის უვნებლობა; სამრეწველო მიზნებისათვის - მინერალიზაციის ხარისხი, სიხისტე და შეტივნარებული მასალის არსებობა.

4. Nagiyev N.G. Modern urban planning of the Azerbaijan Republic. Baku: Educator printing house, 2011.
5. Nagiyev N.G., Huseynov F.M. History of architecture of Azerbaijan. Modern history of architecture of the Azerbaijan Republic. Baku: Sharg-Garb, 2013, 354 p.
6. Smolyar I.M. New cities (planning structure of cities of industrial and scientific-production profile). Moscow: Literature Publishing House for Construction, 1972, 184 p.
7. Fatullaev Sh.S. Urban planning and architecture of Azerbaijan in the 19th and early 20thcenturies. Leningrad: Stroyizdat, 1986, 456 p.

დაბალი მზიდი უნარის ბრტყელ გადახურვებზე მწვანე საფარის მოწყობის გამარტივებული ტექნოლოგია

ლ. იტრიაშვილი[1)], ი. ირემაშვილი[1)], ნ. მსხილაძე[2)], გ. კილურაძე[3)], ლ. ზაზაძე[2]

[1)] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
[2)] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
[3)] სტუდია 21
თბილისი, საქართველო
Email: **itriashvili@mail.ru, ingairema@yahoo.com**

შესავალი

მსოფლიო გამოცდილება (აშშ, კანადა, გერმანია, ესპანეთი, ჩინეთი, ავსტრალია) გვიჩვენებს, რომ თანამედროვე არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნოლოგიის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს შენობების სახურავებზე მწვანე საფარების მოწყობა. ასეთი სახურავები, გარდა მათი ესთეტიკური, ეკოლოგიური და ენერგოდამზოგი თვისებებისა, გამოიყენება დასვენების ზონად. თუმცა ასეთი ზონების საფარები გამოირჩევიან სახურავზე მაღალი დატვირთვით (სისქისაგან დამოკიდებულებით 250 კგ/მ^2 - 1200 კგ/მ^2), ნახ. 1, რაც თხოულობს მაღალი ტვირთგამძლეობის მქონე სპეციალური კონსტრუქციის მოწყობას, და შესაბამისად, თვით შენობის შესაბამის კონსტრუქციებს. გარდა ამისა, ნებისმიერი ქალაქის შენობის სახურავების (განსაკუთრებით ძველი შენობის) უმრავლესობას გააჩნია დაბალი ტვირთგამძლეობა (80 კგ/მ^2 - 140 კგ/მ^2), რაც ფაქტობრივად გამორიცხავს მასზე მწვანე ზონების მოწყობას. არსებული მწვანე საფარისთვის განკუთვნილი კონსტრუქციები კი, ე.წ. სენდვიჩები წარმოადგენდნენ რთულ, მრავალფენოვან კონსტრუქციებს და გააჩნიათ საკმაოდ მაღალი წონა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, აფერხებს მათ გამოყენებას, ნახ. 2.



ფენის სისქე, სმ		80	60	30	20	15
დატვირთვა	კგ/მ^2	1200	900	450	350	250
	კნ/მ^2	11,8	8,8	4,4	3,4	2,5

ნახ. 1. დატვირთვა სახურავზე გრუნტის ფენის სხვადასხვა სისქისას



ნახ. 2. მწვანე საფარის კონსტრუქცია:
1 - მცენარეული საფარი გრუნტით; 2 - ფილტრაციული შრე, 3 - სადრენაჟე ფენა ხრეშისგან ფრაქციით 10-20 მმ; 4 - ფესვთა შემკავებელი ფენა; 5 - „პენოპლექსის“ ფილა; 6 - გამყოფი შრე; 7 - ჰიდროსაიზოლაციო საფარი; 8 - გამყოფი შრე; 9 - დახრის შემქმნელი ცემენტ-ქვიშის ფენა; 10 - რკინაბეტონის გადახურვის ფილა

ზემოთმოყვანილიდან გამომდინარე, რათა შესაძლებელი გახდეს მწვანე საფარის მოწყობა ყველა ტიპის სახურავზე, მეტად აქტუალურია ისეთი გრუნტის სუბსტრატების შერჩევა, რომლებიც მაქსიმალურად მცირე მოცულობით მასასთან (200 კგ/მ²) ერთად უზრუნველყოფენ საკმარის ფორიანობას, წყალშეკავებას, აერაციას, საკვები ნივთიერებების შემცველობას, დაბალ ჯდენას, გამოყენებას ყველა მცენარეთათვის, დაბალ ღირებულებას, დამზადების მარტივ ტექნოლოგიას და კონსტრუქციის მაქსიმალურ სიმარტივეს, ასევე მიზანშეწონილია, მწვანე სახურავების მოწყობისას ადგილობრივი მასალებისა და ენდემური ჯიშის მცენარეების გამოყენება, რაც საგრძნობლად გააიაფებს მათ ღირებულებას და ფუნქციონირების ხარისხს.

ძირითადი ნაწილი

ადგილობრივი მასალების ანალიზის შედეგად მწვანე საფარებისათვის მოსამზადებელი გრუნტის სუბსტრატისათვის შერჩეული იყო შავმიწა ნიადაგი (გურჯაანი), ტორფი (ფოთი) და პერლიტი (ფარავანი), რომლების მახასიათებლები მოყვანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ნიადაგური სუბსტანციის კომპონენტების წყალ-ფიზიკური მახასიათებლები

დასახელება	კუთრი მასა, კგ/მ³	მოცულო-ბითი მასა, კგ/მ³	ფორია-ნობა, %	ზღვრული წყალტევადობა		მინიმალური წყალტევადობა		გაჯერებ. კომპონენტის მასა, მყარი + წყალი, კგ/მ³	ჰუმუსის შემცვე-ლობა, კგ/მ³
				%	კგ/მ³	%	კგ/მ³		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
შავმიწა ნიადაგი (გურჯაანი)	2400	1200	50	42	420	31	370	1570	220
ტორფი (ფოთი)	1500	450	70	90	400	80	360	810	200
პერლიტი - ფრაქცია 0,63 – 1,25 მმ (ფარავანი)	2360	47	96 შიდა ფორების გარეშე	120	340	49	25	72	-
				შიდა ფორიანობის ჩათვლით					

შავმიწა ნიადაგი

შავმიწა ნიადაგი უდავოდ წარმოადგენს საუკეთესო სუბსტანციას მცენარეთა განვითარებისათვის, რადგან შეიცავს დიდი რაოდენობით ჰუმუსს, გამოირჩევა წყლის საკმარისი მარაგით (აქვს წყლის აკუმულირების კარგი უნარი), კარგი ფილტრაციით, დაბალი ჯდენით და კარგი წყალ-ჰაერის რეჟიმით, მაგრამ მისი გამოყენება მწვანე სახურავებისათვის ფერხდება ძალიან მაღალი მოცულობითი მასის (არანაკლები 1,2 ტ/მ^2 1 მეტრიანი შრისათვის, 0,5 ტ/მ^2 - 0,5 მეტრიანი შრისათვის და 0,3 ტ/მ^2 0,25 მეტრიანი შრისათვის) გამო.

ტორფი

ტორფი წარმოადგენს საუკეთესო სუბსტრაქტს მცენარეთათვის. მას გააჩნია კარგი წყალ-ჰაერის რეჟიმი, წყლის აკუმულირების კარგი უნარი, ჰუმუსის მაღალი შემცველობა, დაშლის პროცესში გამოყოფს ნახშირორჟანგს, რომელიც აუცილებელია მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის. გარდა ამისა, ტორფი შეიცავს მცენარეთათვის საჭირო სამშენებლო კომპონენტებს და ბიოკატალიზატორებს, რომლებიც არეგულირებენ მეტაბოლიზმის პროცესებს, რაც დადებითად მოქმედებს სტრესულ სიტუაციებში (წყლის ჭარბი რაოდენობა ან უკმარისობა). მართალია, ტორფი გამოირჩევა დაბალი მოცულობითი მასით - 0,4 ტ/მ^3, მაგრამ მისი სუფთა სახით გამოყენება ფერხდება იმით, რომ მას გააჩნია მაღალი დატკეპნის უნარი, რის შედეგადაც უარესდება მისი წყალ-ფიზიკური მახასიათებლები, წყალთან ურთიერთობისას კი მიმდინარეობს გაჯირჯვება და, შესაბამისად, მოცულობის ზრდა.

პერლიტი

პერლიტი წარმოადგენს ბიოლოგიურად სუფთა ნივთიერებას, რის გამოც ეფექტურად გამოიყენება მცენარეთა ავადმყოფობებისა და მავნებლების წინააღმდეგ. აგრეთვე შეუცვლელია დატკეპნილი ნიადაგებისათვის, სადაც ვერ ვითარდებიან სუსტი ფესვთა სისტემის მქონე მცენარეები. მას შეუძლია წყლის დიდი რაოდენობის შეკავება და მცენარეთათვის შემდგომი კვება, მაგრამ პერლიტი ხასიათდება PH ნეიტრალური რეაქციით, რის გამოც მისი გამოყენება სუფთა სახით არასასურველია, რადგანაც შესაძლებელია მჟავიანობის აწევა. რაც არასასურველია მცენარეთა უმრავლესობისათვის. გარდა ამისა, პერლიტი საკმაოდ ძვირია, რაც ასევე აფერხებს მის სუფთა სახით გამოყენებას.

მისი ქიმიური შემადგენლობაა:

SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	TiO_2	CaO	MgO	SO_3	Na_2O	K_2O	H_2O
73.28	12.93	0.92	0.13	0.68	0.23	0.00	4.18	3.00	3.66

გამომდინარე ზემოთქმულიდან, რენტაბელურია არსებული ნედლეულისაგან ისეთი სუბსტრატის შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იქნება კომპონენტების დადებითი მხარეები და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი უარყოფითი.

ამ მიზნით განხორციელდა კვლევები სხვადასხვა შემცველობის სუბსტრაქტის თვისებების დასადგენად და ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად. კვლევის შედეგები მოყვანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

ნიადაგური სუბსტანციის წყალ-ფიზიკური მახასიათებლები კომპონენტების შემცველობის მიხედვით

კომპონენტების შემცველობა, %			მოცულობითი მასა, კგ/მ³	ჰუმუსის შემცველობა, კგ/მ³	ფორიანობა, %	მინიმალური წყალტევადობა, კგ/მ³	გაჯერებული სუბსტანციის მასა (მყარი + წყალი), კგ/მ³	აერაცია, %
შავმიწა ნიადაგი	ტორფი	პერლიტი						
1	2	3	4	5	6	7	8	9
80	10	20	1200	196	57	360	1560	20,7
70	15	15	1028	184	60	334	1362	19,8
60	20	20	829	172	63	299	1120	19,5
50	25	25	724	160	66	281	1005	19,0
40	30	30	629	148	70	263	892	19,0
30	35	35	534	136	73	246	700	19,0
20	40	40	439	124	76	228	667	16,0
	80	20	370	160	73	293	663	43
	70	30	330	140	81	260	590	55
	60	40	290	120	84	226	516	61
	50	50	250	100	87	192	442	68
	40	60	210	80	90	160	370	74
	30	70	167	60	93	132	327	79

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს:

1. სამკომპონენტიან (შავმიწა ნიადაგი, ტორფი, პერლიტი) სუბსტრატში ტორფისა და პერლიტის შემცველობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება მისი წონა როგორც მშრალ (1200 კგ/მ³-დან 439 კგ/მ³-მდე), ისე ტენიან (1560 კგ/მ³-დან 667 კგ/მ³-მდე) მდგომარეობაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სახურავზე დაწოლას. ამავე დროს, სუბსტრატი შეიცავს საკმარის მოცულობას, პროდუქტიულ წყალს (360 კგ/მ³-დან 228 კგ/მ³-მდე), ინარჩუნებს საკმარის აერაციას (20,7%-დან 16%-მდე) და ჰუმუსის შემცველობას (196 კგ/მ³-დან 127 კგ/მ³-მდე), რაც უზრუნველყოფს მცენარისათვის საჭირო წყალ-ჰაერისა და კვების ხელსაყრელ პირობებს.

   მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შერჩეულია სუბსტრატის ოპტიმალური შემადგენლობა: შავმიწა ნიადაგი - 30 %, ტორფი - 35 %, პერლიტი - 35 %, რომელიც 30 სმ სისქის სუბსტრატის შემთხვევაში უზრუნველყოფს: დაწოლას სახურავზე - 160 კგ/მ²-ზე, ფორიანობას - 37%-ს, აერაციას - 19%-ს, ჰუმუსს - 40 კგ-ს, მცენარისათვის პროდუქტიულ წყალს - 70 კგ-ს, ანუ 70 ლ-ს.
2. ორკომპონენტიანი სუბსტრატის (ტორფი, პერლიტი) კომპონენტების ნებისმიერი შემცველობა აგრეთვე უზრუნველყოფს მის დაბალ წონას და, შესაბამისად, დაწოლას სახურავზე, ასევე ოპტიმალურ პირობებს მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის.

მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სუბსტრატის საუკეთესო მაჩვენებლები მიიღება კომბინაციების შემდეგი შემცველობის პირობებში:

ტორფი - პერლიტი 30-70, 50-50. 40-60, რომლებსაც აქვთ შემდეგი მახასიათებლები: წონა 290 ÷ 210 კგ/მ³, ფორიანობა 84 ÷ 90%, ჰუმუსი 120-80 კგ/მ³, პროდუქტიული წყალი - 226 – 160 კგ/მ³, აერაცია - 61-74%, სუბსტრატის 50 სმ სისქისას წონა მერყეობს 145 – 105 კგ/მ², 30 სმ სისქისას კი - 75 -70 კგ/მ².

თუ ფესვთა სისტემის განვითარება გვინდა, მაგ. ყვავილოვანი მცენარეებისთვის - ვარდები...), მაშინ საჭიროა 20-30 სმ შრე, ბალახოვანისთვის (ხვიარა ან მცირე ზომის) - 10-20 სმ სუბსტრატის შრე საკმარისია, ხოლო ბუჩქოვანისთვის - 50 სმ-მდე.

მწვანე სახურავების მოწყობის გამარტივებისა და გაიაფების მიზნით შემუშავებული და შემოთავაზებულია მცენარეთა დარგვის გადასატანი კასეტური სისტემა (ნახ. 3, 4).



ნახ. 3. კასეტური კონსტრუქციის სქემა: 1 - კასეტა; 2 - ფრუნტი; 3 - წვრილფოროვანი მემბრანა - ბარიერი მცენარეული საფარისთვის (გეოტექსტილი); 4 - ბადე

ნახ. 4. პლასტმასის კასეტის ანაკრები კონსტრუქციის საერთო ხედი

ასეთი სისტემა, გარდა სიმსუბუქისა, საშუალებას იძლევა გამოვრიცხოთ სახურავის დამატებითი ჰიდროიზოლაციის მოწყობა და მოვახდინოთ მწვანე საფარის ნებისმიერი დიზაინური გადაწყვეტა (ნახ. 5).



- ბუჩქნარი ან დაბალტანიანი ხეები
- ყვავილოვან-ბალახოვანი საფარი
- მოედანი

ნახ. 5. კასეტის ანაკრები კონსტრუქციის მწვანე საფარის სქემა

ბუნებრივია, რომ მცენარეთა შერჩევისას უპირატესობა უნდა მიეცეს ენდემურ ჯიშებს, რომლებიც ადაპტირებულია ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან და აქვთ ჰორიზონტალური ფესვთა სისტემა.

დაკვნა

ამრიგად, შერჩეული სუბსტრატები გამოირჩევიან დაბალი წონით, წყლის აკუმულირებით და შენახვით, პრაქტიკულად ჯდენის (დატკეპნის) უქონლობით, ჰუმუსის მაღალი შემცველობით, კარგი წყალგამტარობითა და მცენარეთათვის ხელსაყრელი წყალ-ჰაერის რეჟიმით.

სუბსტრატის დამზადების ტექნოლოგია მარტივია და ხორციელდება კომპონენტების ერთმანეთში მექანიკური შერევის გზით.

შემოთავაზებული მწვანე სახურავების მოწყობის მსუბუქი, გამარტივებული კასეტური კონსტრუქცია მათი განლაგების მრავალი ვარიანტების საშუალებას იძლევა მზიდი გადახურვისა და სხვადასხვა დიზაინური განლაგების გათვალისწინებით.

მიღებული შედეგები შეიძლება შემოთავაზებული იყოს პრაქტიკაში გამოყენებისთვის, განსაკუთრებით ქ. თბილისისათვის, სადაც არის ძველი განაშენიანების დაბალი მზიდი უნარის მქონე უამრავი ბრტყელი გადახურვა.

ლიტერატურა

1. Toronto Green Roof Construction Standard – http://www6.mississauga.ca/onlinemaps/planbldg/MUDR/Toronto%20-20Green%20Standards.pdf.
2. Lstiburek W.I., Seeing Red Over Green Roofs// ASHRAE, 2011.
3. Езугбая З.А., Иремашвили И.Р. Зелёное покрытие как экологически чистая и энергоэффективная технология в строительстве. Сборник научных трудов №70 Института водного хозяйства им. Ц. Мирцхулава Грузинского технического университета, 2015 г., Тбилиси, стр. 56-60.
4. Езугбая З.А., Иремашвили И.Р., Мсхиладзе Н.Г., Чеишвили Ш.Н. Улучшение экологического состояния в городах грузии путем устройства зеленых покрытий на крышах зданий и сооружений. V международная научно-техническая конференция “Современные проблемы водного хозяйства, охраны окружающей среды, архитектуры и строительства”. Сборник научных трудов. 2015 г., Тбилиси, стр.73-85.
5. Ефимов В.Н. Торфяные почвы. Россельхозиздат, М., 1980, 120 с.
6. Итриашвили Л.А. Целевое управление свойствами грунтов. Монография, «Мецниереба», Тбилиси, 2005, 326 с.
7. Езугбая З.А., Итриашвили Л.А., Иремашвили И.Р. Упращенная технология устройства зеленой кровли с использованием нового состава почво-грунтов. VI международная научно-техническая конференция “Современные проблемы водного хозяйства, охраны окружающей среды, архитектуры и строительства”. Сборник научных трудов. 2016 г., Тбилиси, стр.52-56.
8. Езугбая З.А., Итриашвили Л.А., Иремашвили И.Р. Технология устройства зеленой кровли для плоских перекрытий г. Тбилиси. Сборник научных трудов №71 Института водного хозяйства им. Ц. Мирцхулава Грузинского технического университета, 2016 г., Тбилиси, стр.32-37.
9. Итриашвили Л.А., Иремашвили И. Р., Уйма А. Устройство зелёной кровли на перекрытиях с малой несущей способностью. XIV International Scientific-Technical onference Constructions of Optimized Energy Potential, Energy Saving Materials and Technologies.Czestochowa University of Technology. Coll. Papers #2 (20) 2017, pp. 121-128.
10. Исследование перлитов Украины, Греции, Турции, Армении и Грузии. ДСТУ БВ. 2.7-157-2011.

წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშება ერთეულოვანი ჰიდროგრაფის მეთოდით

მ. კიკაბიძე, ჯ. ფანჩულიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
E-mail: maiakikabidze@ok.ru

შესავალი

მრავალი წელი მიმდინარეობდა კვლევები ჰიდროგრაფის ანგარიშის მეთოდების დასახვეწად. მეთოდიკა ეფუძნებოდა ჩამონადენის გენეტიკურ ფორმულას. ეს მეთოდები შეიძლება გაერთიანდეს ერთი საერთო დასახელების ქვეშ - ჩამონადენის ჰიდროგრაფების ანგარიში ტალღის გარბენის ერთნაირ დროთა შემომსაზღვრელი მრუდების საშუალებით. ცალკეულ შემთხვევაში ეს მეთოდებია: ელემენტარული წყალდიდობის მეთოდი (ერთეულოვანი ჰიდროგრაფის მეთოდი), იზოქრონების მეთოდი და ტალღის გარბენის ერთნაირ დროთა შემომსაზღვრელი მრუდების მეთოდი.

ძირითადი ნაწილი

წყალდიდობის ტალღის გარბენის ერთნაირ დროთა ამსახველი (შემაერთებელი) მრუდების მეთოდი საფუძვლად დაედო ჩამონადენის გენეტიკურ ფორმულას და აიწერება დიუამელის ინტეგრალით, რომელსაც აქვს შემდეგი სახე;

$$Q_t = \int_0^t h_{t-\tau} f_\tau d\tau \quad (1)$$

სადაც h_t ნალექებია, თანაბრად მოსული მთელ აუზზე t დროში.

f_τ - ერთეულოვანი (ელემენტარული) ფართობებიდან ჩამონადენის ამსახველი მრუდი.

ელემენტარული ერთეულოვანი ჰიდროგრაფი (ნახ.1) წარმოადგენს მრუდს, რომელიც მხოლოდ მოცემული ნაკადისთვისაა დამახასიათებელი. ეს არის წყლის ხარჯის დროში ცვლილების რეაქცია ელემენტარული (ერთეულოვანი) წვიმის მიმართ, რომელიც ფართობზე მოვიდა მუდმივი ინტენსივობით, მცირე ხანგრძლივობით, მაქსიმალური კონცენტრაციის (T) დროსთან შედარებით და თანაბრადაა განაწილებული მთელ წყალშემკრებ აუზზე (ნახ. 1).



ნახ.1. ელემენტარული ჰიდროგრაფი

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ წვიმის ინტენსივობის დროში მსვლელობის გრაფიკი (პლუვიოგრამა) საფეხურებრივი (ინტერვალებად დაყოფილი) სახით (ნახ. 2). პლუვიოგრამა დავყოთ ელემენტარულ თავსხმებად მუდმივი ინტენსივობით და ერთნაირი მცირე ხანგრძლივობით (t), რომელიც კონცენტრაციის დროსთან (T) შედარებით უმნიშვნელოა.



ნახ.2. წვიმის პლუვიოგრამა (ა) და შესაბამისი ჩამონადენის ჰიდროგრაფი (ბ)

აღვნიშნოთ:

I_1, I_2, I_3 - ერთმანეთის მიმყოლი ინტენსივობებია;

i_1, i_2, i_3 – „ეფექტური“ ინტენსივობებია, რომელიც ფაქტობრივად იწვევს ჩამონადენს, ე.ი. $i_1 = I_1 \cdot \alpha$; $i_2 = I_2 \cdot \alpha$; $i_3 = I_3 \cdot \alpha$, სადაც α ნალექების დანაკარგია, ჩამონადენის კოეფიციენტის სახით ($\alpha = 1 - \mu$). მაშინ I_1 ინტენსივობის ნალექებს შეესატყვისება ჩამონადენი, რომელიც ნახაზზე წარმოდგენილია 1 ჰიდროგრაფით (ნახ.2). იგი აიგება I_1 ინტენსივობის ერთეულოვანი წვიმის შედეგად მიღებული წყლის ეფექტური ფენის h-ის ყველა ორდინატის $i_1 t$-ზე გამრავლების გზით. ჩამონადენი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იწყება წვიმა I_1 ინტენსივობით.

ჩამონადენის ჰიდროგრაფ 1-ს „დაედება“ ჰიდროგრაფი 2, I_2 ინტენსივობის თავსხმა წვიმის დამთავრების მომენტიდან.

ჰიდროგრაფი 2 აიგება ყველა ორდინატის $i_2 t$-ზე გამრავლებით. მისი დასაწყისი 1 ჰიდროგრაფის დაწყებას დროში ჩამორჩება t ინტერვალით, რომელიც ტოლია I_1 და I_2 ინტენსივობების დასაწყისთა შორის დროის სხვაობისა.

ანალოგიურად, ნალექები I_3 ინტენსივობით წარმოქმნიან ჰიდროგრაფ 3-ს, დაცილებულს ჰიდროგრაფ 2-საგან დროის ინტერვალით, რომელიც I_2 და I_3 ინტენსივობების დასაწყისებს შორისაა.

წყლის ხარჯი ნებისმიერი მომენტისათვის, რომელიც ჯამურ ნალექს შეესატყვისება (ე.ი. შედგება ელემენტარული თავსხმებისაგან ინტენსივობებით I_1, $I_2 I_3$), წარმოადგენს წყლის ხარჯების ჯამს, გამოწვეულს 1, 2, 3 თავსხმა წვიმებისაგან (ნახ. 2 (ა) და (ბ)).

ყოველივე აღნიშნული ანალიზურად შეიძლება გამოსახული იქნეს შემდეგი სახით: თუ აღვნიშნავთ t დროის მომენტისათვის ჰიდროგრაფის ორდინატას h_1-ით, h_2-ით იმავეს$2t$ მომენტისათვის, h_3-ით $3t$ მომენტისათვის და ა.შ., h_n-ით nt მომენტისათვის, მაშინ t, $2t$, $3t$, nt მომენტებისათვის შეგვიძლია დავწეროთ:

$$t - q_1 = i_1 h_1 t$$
$$2t - q_2 = (i_1 h_2 + i_2 h_1)t,$$
$$3t - q_3 = (i_1 h_3 + i_2 h_2 + i_3 h_1)t,$$
$$nt - q_n = (i_1 h_n + i_2 h_{n-1} + \cdots + i_1 h_1)t.$$

საერთო შემთხვევისათვის, როდესაც თავსხმა წვიმის ინტენსივობა i უწყვეტად ცვალებადია τ დროის განმავლობაში, შედეგობრივ ჰიდროგრაფის განტოლებას ექნება სახე:

$$q_t = \sum_{\tau=0}^{\tau=t} h(t-\tau)i(\tau) = \int_{\tau=0}^{\tau=t} h(t-\tau)i(\tau)d\tau \qquad (2)$$

სადაც q_t წყლის ხარჯია (t მომენტისათვის შესატყვისი);

$h(t-\tau)$ - ელემენტარული ჰიდროგრაფის ორდინატა $(t-\tau)$ მომენტისათვის;

$i(\tau)$- წვიმის ინტენსივობა τ მომენტში.

წყლის ხარჯი სხვადასხვა t მომენტისათვის განისაზღვრება iht ნამრავლით, t დროის ინტერვალის მუდმივობის გათვალისწინებით, ე.ი. უდიდეს მნიშვნელობას q_t მიაღწევს მაშინ, როდესაც $i \cdot h$ ნამრავლი იქნება უდიდესი.

ერთეულოვანი ჰიდროგრაფის უფრო გაადვილებულად წარმოსახვა შესაძლებელია იზოქრონების თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც წყალდიდეობის ფორმირების პროცესს აღწერს, როგორც ცალკეული წყალშემკრები და ერთნაირი გარბენის დროის მქონე წყლის მოცულობების შეჯამების პროცესს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ერთეულოვანი ჰიდროგრაფის მეთოდი უშუალო კავშირშია იზოქრონების თეორიასთან და ბევრი სირთულე, რომელიც დაკავშირებულია მის პრაქტიკულ განხორციელებასთან, შესაძლებელია განისაზღვროს „იზოქრონების თეორიის პოზიციებიდან გამომდინარე“ [1].

ზედაპირული ჩამონადენის ფორმირებაში წყლის გარბენისას წყალშემკრები ფართის ზედაპირიდან წყლის ჩამოდინების (t) დროს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. კერძოდ, ჩამოდინების პროცესში წყალშემკრების ბოლო კვეთში ხდება იმ წყლის ხარჯების შეჯამება, რომლებიც ერთდროულად შემოედინებიან წყალშემკრები აუზის სხვადასხვა ნაწილებიდან.

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი წყალშემკრებისათვის წყლის გარბენის დროთა სქემატური გამოსახვისათვის, ჩვეულებრივ, ვხელმძღვანელობთ იზოქრონების პრინციპით - ნებისმიერი წყალშემკრების რუკაზე გამოვყოთ აუზის ცალკე (კერძო) ერთეულოვანი ფართობები $f_1, f_2, f_3 \dots f_\tau$, რომლებიც შემოსაზღვრულია წყლის მასის გარბენის ერთნაირ დროთა შემაერთებელი ხაზებით [ნახ.3 (ა); (ბ)]. წყლის ხარჯი ყოველ ერთეულოვან დროში ფორმირდება არა ცალკეული წყლის მოცულობების შეჯამებით, რომლებიც ცალკეული, ერთეულოვანი წყალშემკრებებიდან ჩამოედინება, არამედ ცალკეული წყალშემკრებებიდან f_1, f_2, $f_3 \dots f_n$, კვეთში მუდმივად შემოდენილი, ამ ფართობებზე მოსული „ერთეულოვანი“ ნალექებისაგან (h_0);

ე.ი. $Q_1 = h_0 f_1, Q_2 = h_0 f_2,$

.....

$Q_\tau = h_0 f_\tau$



ნახ. 3. ა) აუზზე წყლის მასის გარბენის ერთნაირ დროთა შემაერთებელი ხაზები; ბ) ერთეულოვანი ჩამონადენების ფართობთა განაწილების გრაფიკი f_τ

საიდანაც გამომდინარეობს, რომ:

$$\frac{Q_t}{\sum Q} = \frac{h_0 f_\tau}{h_0 F} = \frac{f_\tau}{F} \tag{3}$$

ე.ი. ერთეულოვანი ნალექებით გამოწვეული წყალდიდობის ჰიდროგრაფის ორდინატა შეესაბამება ერთეულოვანი ფართობების განაწილების მრუდის ორდინატას, ანუ ე.წ. გარბენის მრუდს $\frac{f_\tau}{F}$, რომელიც გამოსახულია ფარდობითი მნიშვნელობით წყალშემკრები აუზის ფართის F-ის მიმართ. მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ბუნებაში ხდება, დროის ერთეულში მოსული „ერთეულოვანი“ წვიმების ინტენსივობები $h_1, h_2, h_3, \dots h_t$ერთმანეთის ტოლი არ არიან. ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, შეიძლება დავწეროთ, რომ წყლის ხარჯი პირველ დროის ერთეულში ტოლი იქნება

$$Q_1 = f_1 h_1$$

დროის მეორე ერთეულის ბოლოსათვის პირველი წვიმის ნალექების მოცულობა h_1 მოვა მეორე ელემენტარული წყალშემკრები ფართიდან f_2, ხოლო მეორე - h_2 ინტენსივობის ნალექების მოცულობა - პირველი ელემენტარული წყალშემკრები ფართიდან f_1.

ამრიგად,

$$Q_2 = h_1 f_2 + h_2 f_1$$

t დროის ერთეულის ბოლოსათვის

$$Q_t = h_1 f_t + h_2 f_{t-1} + \cdots + h_t f_1,$$

$$\text{ე.ი. } Q_t = \sum_{\tau=0}^{\tau=t} h_{t-\tau} f_\tau \tag{4}$$

მიღებულ ანალიზურ გამოსახულებას ეწოდება ჩამონადენის გენეტიკური ფორმულა, სადაც Q_t წყლის ხარჯია t მომენტში; $h_{t-\tau}$ - ნალექების ფენა, დანაკარგების გამოკლებით; τ - წყლის მასის გარბენის მაქსიმალური დრო - წყალშემკრები აუზის ყველაზე დაცილებული წერტილიდან საანგარიშო კვეთამდე, ანუ ჩამონადენის კონცენტრაციის დრო; f_τ - ერთეულოვანი წყალშემკრებების ფართობებია, რომლებიც მოთავსებულია იზოქრონებს შორის.

საკვლევი ფართობის სიგრძე, რომელსაც S-ით აღვნიშნავთ, შესართავ კვეთში წყლის ჩამოდინების მომენტიდან იწყებს ზრდას ამ კვეთიდან დაწყებული ფერდობისაკენ (წყალგამყოფისაკენ ან ზემოთ განლაგებული შემკრები არხისაკენ), ანუ წყლის დინების

მიმართულებით აღებული OX ღერძის საპირისპირო მიმართულებით (ნახ.4), სიგრძე S შეიძლება განისაზღვროს იმ თვალსაზრისით, რომ წყლის ხვედრითი ხარჯი შესართავ კვეთში $q(l;t)$ ტოლი უნდა იყოს $S \cdot 1$ მ^2 ფართობიდან ჩამოდენილი წყლის ხარჯის, ე.ი. ადგილი უნდა ჰქონდეს ტოლობას:

$$q(l;t) = S \cdot 1\,(P-K) = S\alpha P,$$

საიდანაც შეიძლება განისაზღვროს S

$$S = \frac{q(l,t)}{P-K} \tag{5}$$

ამ გამოსახულებაში თუ შევიტანთ $q(l;t)$-ს მნიშვნელობას,

$$q(l;t) = C_0\left[\frac{P-K}{\nu+1}t\right]^{\nu+1} = C_0\left[\frac{\alpha P}{\nu+1}\right]^{\nu+1} t^{\nu+1} = \frac{C_0}{(\nu+1)^{\nu+1}}(\alpha p)^{\nu}t^{\nu+1} \tag{6}$$

მაშინ საბოლოოდ მივიღებთ:

$$S = \frac{q(l,t)}{P-K} = \frac{C_0}{P-K}\left[\frac{P-K}{\nu+1}t\right]^{\nu+1} = \frac{C_0}{\alpha P}\left[\frac{\alpha P}{\nu+1}\right]^{\nu+1} t^{\nu+1} = \frac{C_0}{(\nu+1)^{\nu+1}}(\alpha P)^{\nu}t^{\nu+1} \tag{7}$$

სადაც $C_0 = \frac{1}{n}i^{0,5}$ ასახავს კალაპოტის ხორკლიანობას;

ν - ხარისხის მაჩვენებელი და მოძრაობის რეჟიმის მიხედვით (ლამინარული, ტურბულენტური) მერყეობს $\frac{1}{3} \div 2$.

ე.ი. მივიღეთ მოქმედი ფართობის სიგრძის ზრდის კანონი დროის მიხედვით, რომელიც სავსებით ანალოგიურია თეორიაში მიღებული $x = x(t)$ დამოკიდებულების. მაშასადამე, მოქმედი ფართობის ზრდის სიჩქარე წყალგამყოფისაკენ წყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ისეთივე კანონით გამოისახება, როგორითაც გამოისახება ზედაპირული ჩამონადენის სიჩქარე წყალგამყოფიდან შესართავისაკენ წყლის დინების მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩამონადენის წარმოქმნის მომენტიდან რაღაც t_1 დროში ნაკადმა წყალგამყოფიდან $(x = 0)$ შესართავისაკენ განვლო $x_1 = 0{,}25l$ მანძილი, მაშინ იმავე t_1 დროში პირუკუ მიმართულებით - შესართავიდან წყალგამყოფისაკენ მოქმედი ფართობის სიგრძე გაიზრდება $S = 0$ -დან $S = 0{,}25l$-მდე. ანალოგიურად გვექნება მაგალითად t_2 დროში $x_2 = 0{,}50l$ და $S_2 = 0{,}50l$. t_3 დროში $x_3 = 0{,}75l$ და $S_3 = 0{,}75l$. $t_4 = t_l$ დროში $x_4 = l$ და $S_4 = l$. (ნახ.4)



ნახ. 4. ზედაპირული ჩამონადენის მატებისა და შესაბამისი მოქმედი ფართობის ზრდის სქემა

მიღებული S-ის გამოსახულებაში შემავალი t წარმოადგენს არა მარტო იმ დროს, რომლის განმავლობაშიც მოქმედი ფართობის სიგრძე იზრდება შესართავიდან წყალგამყოფისაკენ 0-დან S-მდე, არამედ იმ დროსაც, რომელსაც უნდება ზედაპირული ჩამონადენი S მანძილის გავლისას და შესართავამდე ჩაღწევისას $(S = \bar{V} \cdot t; t = S : \bar{V})$. ამ დროს უწოდებენ „ტალღის გარბენის დროს“, რომელსაც t_s-ით აღვნიშნავთ. იგი განისაზღვრება S-ის გამოსახულებიდან

$$t = t_s = \frac{(\nu+1)S^{\frac{1}{\nu+1}}}{C_0^{\frac{1}{\nu+1}}(P-K)^{\frac{\nu}{\nu+1}}} = \frac{(\nu+1)S^{\frac{1}{\nu+1}}}{C_0^{\frac{1}{\nu+1}}(\alpha P)^{\frac{\nu}{\nu+1}}} \qquad (8)$$

მოცემული ფორმულაც სავსებით ანალოგიურია t_x-ის საანგარიშო ფორმულის, მაგრამ შინაარსობრივად მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. t_x არის x მანძილის გარბენის დრო წყალგამყოფიდან რაიმე N წერილამდე, ხოლო t_s კი - რაიმე წერტილიდან შესართავამდე S მანძილის გარბენის დრო. თუ $X = S$, მაშინ $t_x = t_s$.

დასკვნა

მიღებული S (7) და $t_s(8)$ გამოსახულებების საფუძველზე შესაძლებელია წყალშემკრები აუზის ტოპოგრაფიულ რუკაზე გატარებული იქნეს ერთნაირი t_s-ის ($t_s = 1$ სთ, $t_s = 2$ სთ და ა.შ.) გამომსახველი ხაზები (მრუდები) ანუ იზოქრონები. ყოველ იზოქრონზე ეწერება მისგან შესართავამდე S მანძილის გარბენის დრო t_s, ხოლო თვით S მანძილები გადაიზომება მოცემული იზოქრონიდან შესართავამდე იზოჰიფსების პერპენდიკულარულად. თითოეული იზოქრონით შემოსაზღვრული ფართობი წარმოადგენს მოქმედ ფართობს - ω, ხოლო მისი ნამრავლი αP-ზე კი იქნება წყლის ხარჯი ($q = \omega_\partial \alpha P$ შესართავ კვეთში. ამგვარად, ყოველი t_s-ის შესაბამისი მოქმედი ფართობების განსაზღვრის საფუძველზე შეიძლება აიგოს წყლის ჩამოდინების პროგნოზული ჰიდროგრაფი $Q = \sum q(l,t)$ შესართავი კვეთისათვის.

ლიტერატურა

1. ტუღუში გ., ფანჩულიძე ჯ., ტუღუში პ. ატმოსფერული ნალექების ზედაპირული ჩამონადენის სისრულისა და დაგვიანების კოეფიციენტების ცვალებადობის კანონზომიერებები. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი,სამეცნიერო შრომები „საინჟინრო ეკოლოგიის საკითხები ჰიდროტექნიკურ მელიორაციაში“. თბ., 1996 წ., გვ. 29-31;
2. ფანჩულიძე ჯ. მაქსიმალური ჩამონადენის განსაზღვრის სრულყოფის პრინციპები და გაანგარიშებათა მეთოდიკა დამშრობი სისტემებისათვის. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომები „საინჟინრო ეკოლოგიის საკითხები ჰიდროტექნიკურ მელიორაციაში“. თბ., 1996 წ., გვ. 34-40;
3. ფანჩულიძე ჯ., მამასახლისი ჟ. გამოყენებითი ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია. გამომცემლობა „შ.პ.ს. დანი“, თბილისი, 2009 წ., 117 გვ.;
4. შატბერაშვილი ფ., გიორგაძე ს., ფანჩულიძე ჯ. - დაშრობითი მელიორაცია, მელიორატორის ცნობარი (გვ. 206-243), „განათლება“, თბილისი, 1986 წ., 335 გვ.;
5. ფანჩულიძე ჯ., მამასახლისი ჟ. ჩამონადენის მოცულობის გაანგარიშების ახალი მეთოდიკა ჭარბტენიანი ზონის ჰიდროქსელისათვის. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. 116, თბილისი, 2011 წ., გვ. 17-21.

RIVERBED PROCESSES EXISTING IN THE MUDFLOW CHANNEL, DEBRIS FLOW STABILITY AND MUDFLOW MARGINAL VELOCITY

Kh. Kiknadze
Ts. Mirtskhulava Water Management Institute
of Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
E-mail: *khkiknadze@gmail.com*

INTRODUCTION

A large part of the territory of Georgia is located in the area of debris flow ducts and catchment basins of rivers. It is as a result of bed erosion in rivers of this nature that both the coastal strip is out of order and there is a decrease in the parameters determining the stability of the channels.

Among the many types of flows in beds, because of the anomalies and differences in their behavior from other flows in channels, mudflows are one of the most prominent.

The water flow ducts and debris flow ducts of the mountainous region of Georgia are placed in the highest category zone due to riverbed erosive processes and the risk of mudflow transit.

MAIN PART

Both the disruption of flow stability and the deformations caused by the processes occurring in natural channel riverbeds can be considered as a special research subject. This leads to a deep cut in the flow channel, the side slopes of which, even in the normal mode, suffer collapse and change in shape. The shape of the profile obtained by subsidence and deformations of the coastline, caused by floods and through mudflows, is increased by geometric progression. The current beds in the channels created by mudflow discharge, the issues of deformation and the state of their study are also important. Therefore, the riverbed processes taking place in the transit area of mudflow channels and the discharge cones and the prediction of changes in their characteristics require special attention and deepening and clarification of assessment methods. Based on the above, the adaptation of mathematical models to the process and the use of accounting dependences is a priority [1,2,3]

The complete presentation of the change in the dynamics of the flow in mudflows is of particular interest when it is formed in different modes. Predicting the conditions of movement of such flows with calculation parameters, fully representing the process, differences in steady characteristics from the usual ones and changes in large ranges as a result of incommensurability become even more difficult. At the same time, it becomes difficult to adapt to the event, which is often the reason for the emergence of opposing opinions and the determining criterion for obtaining different results.

Investigations of riverbed processes in mudflow channels confirm that the mudflow in the stage of formation is related to energy characteristics, among which flow rate, slope, flow speed and others attract attention.

The parameter combination model is used as an analogue of determining the limit value of the width of mudflow movement cases:

$$B_{Th} = \frac{Q^{0.5}K}{I^{0.2}\sqrt{V_{Th}}} \qquad (1)$$

where,

B_{Th} - Width of moving mudflow (m)

Q- Forming flow of duct cross-section (m/s)

I- Duct slope

K - Coefficient, its value is approximately equal to 1.

The presented model can be used for ducts created by mudflow discharge. i.e. A mudflow duct is represented by mudflow-generating soil.

The model for determining the limit width of the mudflow duct, when considering such flow in the channel, based on the limit value of lateral compression, can be presented as follows:

$$1-\frac{\Delta B}{B}=\frac{B_{Th}}{B} \tag{2}$$

where,

ΔB_{Th} - Threshold value of flow compression.

ΔB - If the magnitude exceeds the critical value, the flow loses stability.

$\frac{B_{Th}}{B}$- is the coefficient of lateral compression of the flow, where (2) will have the form

$$1-n=\frac{B_{Th}}{B} \tag{3}$$

From where,

$$B=\frac{B_{Th}}{1-n} \tag{4}$$

The width of the flow, when the expense:

$$\mathrm{Q}=\frac{Bgih^3f(\beta)}{\alpha} \tag{5}$$

From where $B=\frac{QL}{gih^3f(\beta)}$

The marginal width of the mudflow:

$$B_{Th}=(1-n)\frac{QL}{gih^3f(\beta)} \tag{6}$$

If we take into account the value of the lateral compression of the mudflow stream in the equation, the marginal width of the stream is calculated by the formula:

$$B_{Th}=1-\frac{\alpha}{1+\alpha}\cdot\frac{\alpha^3+4\alpha\sqrt{\alpha}}{4(1+\alpha)}\cdot\frac{QL}{gih^3f(\beta)\psi^3} \tag{7}$$

when$\alpha=1$ i.e. In case of water flow:

$$B_{Th}=1-\frac{11}{16}\cdot\frac{QL}{gih^3f(\beta)} \tag{8}$$

In the case of water flow, the value of the threshold speed:

$$V_{Th}=\frac{Q}{B_{Th}I^{0.4}} \tag{9}$$

(8) take into account (9)

$$V_{Th} = \frac{[gih^3\psi^3 f(\beta)(1-n)]^2}{I^{0.4}QL^2} \qquad (10)$$

The analysis carried out on the water channels shows that the cross-section can be presented in different forms in the mudflow channels with similar geotechnical characteristics. As for the edge shapes, their magnitude can be estimated based on the ultimate tensile stability.

CONCLUSION

Based on the above, the riverbed processes taking place in mudflow channels are specific and diametrically different from the processes taking place in the self-forming natural riverbeds of water channels. Taking into account the influence of morphometric parameters, the assessment of riverbed processes is one of the interesting results of scientific research.

Based on research, the above formulas can be used to calculate the stable shape of the riverbeds ducts, which is a function of the flow rate, slope and the size of the diameter of the soil particles that make up the riverbed.

REFERENCES

1. Kukhalashvili E., Gavardashvili G., Iremashvili I., Maisaia L., Beraia N., Kiknadze Kh., Dadiani K., Mathematical model for evaluation of energy characteristics of mudflow. Collection of scientific works of Water Management Institute, 2019yr. p.100.
2. Gavardashvili G. Prediction of erosive-mudflow processes in the Duruji river basin and new engineering-ecological measures against them. "Science". Tbilisi, 2003 yr. p. 116.
3. Danelia R., Kukhalashvili E., Unstabilize D. movement of linked mudflow; Proceedings of the scientific conference on issues of hydraulics and hydrotechnics of pipeline transport of riverbed processes and hydrotechnical structures. Tbilisi, 2000 yr. pp. 43-45.

URBAN PLANNING AND THE PROBLEMS OF MODERN ARCHITECTURE

G. Kighuradze [1], A. Ujma [2]
[1] Ltd Architectural Studio 21
Tbilisi, Georgia
[2] Czestochowa University of Technology,
Czestochowa, Poland

INTRODUCTION

For almos 100 years the world urban planning and urbanism has been in a severe crisis. Two problems can be identified here: The sustainability of our cities over time and the significance diminishing of visual aesthetic of our cities.

Architecture initially implies permanence, sustainability and heritage. It is well known that the study of old settlements and cities plays a big role in the study/cognition of certain epochs. Of great importance are the paintings that not only area remaining from today's urbanism but are literally lost in front of us. The reason of these processes are: materials and technologies, used in modern construction, are only valid for 50-150 years, that is why new construction is not considered for long term exploitation, but as temporary building. Furthermore, the importance of the aesthetic appearance of the city is ignored, which has the greatest negative impact on the proper development of a person. Today's urban planning is adapted to material concepts, which are conditioned by epoch-making events.

In the 1960s, a reaction began, a movement of postmodernists and subjectivists, which led to the rise of subjectivism, and hence the inability to make an objective assessment.The Absolute absence of objective criteria. This is the hardest and most destructive factor in our reality as the formal logic of this philosophy collides with the wall of manipulation of lies and ignorance. As a result, we get the justification of incompetence by the subjectivity of taste.

At the same time we have the legacy of epochs where imperative truth was accepted as the highest standard and all other views were simply disregarded. Therefore, the main task is to rethink this knowledge, identify the positive aspects, identify the cause of the current crisis and find approaches that will be a new breath in the field of urban planning.Objective: Develop a philosophical doctrine, in the scope of which, we will protect the freedom of art individualsand at the same time, we will be able to act within strictly written rules and criteria.Urban planning considers strict regulations.

An important problem of post-industrial design is currently creating a comfortable architectural and urban environment of the city. This design is intended to provide a large-scale, informative, intelligent, functional and psychological comfortable functional and spatial environment for humans

THESIS STATEMENT

Urban planning belongs to an area where excessive freedom is devastating.Entrusting the authors of various projects to decide the architectural appearance of a particular places, according to their own artistic and technical views, can lead to chaos in the structure of the city. A particular author may even be a genius, but this does not solve the difficulty of harmoniously merging different authors, in the absence of all kind of artistic /aesthetic parameters. Therefore, the city management regulations should strict, without any exceptions. It is essential for the city to have a unified vision, which considers what is the clear goal is, how to reach it and what result it should get in the significant period of the city development.

The unified vision consists of many separate components: height determination rule, intensity coefficients, List of facade materials, legal regulations and many more. Here it is important to understand the impact and importance of the individual components during the formation of the city. Examine the power and area of influence of each component and only then can we decide which component should be used and which one should be ignored for our city. The urban planning concept should be perceived as a creative act. The process of urban planning has two main factors:

- A city planner who sets a vision for development;
- An architect who designs objects within a vision of development.

Urban planning vision should be a creative act that establishes both technical and aesthetic vision of the city, district, village, street. In case of upsetting this balance, we will get chaos or just a dull and boring city. Monochrome in urban planning cannot be too large-scaled, it should be perceived as a local-scale approach. Monochrome planning should not be misunderstood with classic urban planning documents. A classic urban planning document can and should cover large cities (10 million), colossal agglomerations which include the architectural areas of the multi-style epochs and each multifunctional area should have a unified enlarged vision. Monochrome planning is limited to a specific monoid contour. There may be divisions at district or street level. The main thing is not to have different typological districts in this unit. Each monochrome urban-planning act is an individual case that sets out the rules of action within a particular context.

As soon as we try unite two districts of different character into one scheme we get a devastating result.

In the modern world the value of aesthetics has been diminished, this is due primarily to industrialization and mass production. Mass production is focused on delivering balanced value and quality. Too low quality will not be sold, and high quality products will not be available to mass consumers. Everything goes to the middle, to the gray. Our industry creates a beautiful but less valuable product that will be recklessly thrown away in a short period of time (10-15 years). This leads to the use of secondary and rapidly degradable materials in industrial products.

Architecture, initially implies permanence, sustainability and heritage. It is well known that the study of old settlements and cities plays a big role in the study/cognition of certain epochs. Of great importance are the paintings that not only area remaining from today's urbanism but are literally lost in front of us. The reason of these processes are: materials and technologies, used in modern construction, are only valid for 50-150 years, that is why new construction is not considered for long term exploitation, but as temporary building.

Our materials need to be refined to the point that after 300-1000 years we would have physically preserved / surviving buildings.

The aesthetic-artistic value of new buildings should be so high that future generations would have a strong desire and consider it necessary to maintain and take care of existing cities and individual buildings.

In the early twentieth century, categories in architecture such as beauty, and the manifestation of this decor were considered as excessive and useless.Moreover, the thesis was proposed: "Everything is beautiful that is functional", hence the category of beauty is being partially diminished in modern massive architecture. It is therefore important that beauty should be a functionally necessary element and not and not the unnecessary extra expensive of luxury. It affects a person's mood, actions, spiritual or physical comfort. Thus, this category cannot be ignored. Architecture must return to the piece of art dimension.

One of the important points in our concept is the control of building materials.

In the postmodernist vision of the appearance of a modern city, the concept of development and research trends in urban formations, the city is perceived as a complex, open and dynamic structure. The artistic appearance of the city evolves in time and space, covering all levels of the architectural and urban context, which are associated with various urban images, architectural composition of buildings and structures in one whole full of symbolic meaning.

The hierarchical process of shaping the artistic architectural and urban appearance of the city consists of four interrelated stages of appearance creation:

- Searching for analogies by comparing one architectural object with another,
- Abstract expression of similarity in the scheme of the future appearance,
- in-depth abstraction with the use of allegories
- Creating a full-fledged artistic symbolic performance by giving corporeality and new content to the entirety of abstract ideas.

This topic can be devided iinto two parts:

- Building material as the main constituent of construction and filler;
- Facing material
- According to this:
- Choose a material that can be used to maintain the building for a long time (500-1000).
- Choose a material that will make the building visually attractive for a long time and will not lose its value.

One possible solution to this problem is to use natural materials. Natural material gives us a unique opportunities. Over time, natural stone, wood, metal, brick. Lime, clay does not lose its aesthetic appeal

despite aging and surface cracking. Modern materials, on the contrary, look very bad in a fairly short period of time.

Contemporary urban spatial planning faces an exceptionally difficult scenario for the future in the current reality. Intensive industrialization of urban areas, technological progress and unlimited urbanization have indirectly led to dramatic climate changes on a global scale. In connection with the above, the heads of state and government decided in 2007 to reduce greenhouse gas emissions by 50% by 2050 compared to 1990 levels. The effect should be to lead to climate neutrality in 2050. This is a huge challenge for modern civilization.

Adaptation measures to the ongoing climate change include various planning interventions, among others, in Poland, which are implemented at the national, regional and local level.

A significant challenge for contemporary spatial planning is to establish and enforce such planning provisions that would guarantee the use of pro-ecological spatial solutions. The need for legislative changes allowing for the transformation of planning systems from passive to proactive is also emphasized.

Attempts are made to include provisions in planning regulations to limit the location of investments that may have a significant impact on the natural environment, especially within residential zones. Other recommendations take into account urban indicators that allow for the diversification of the height of buildings adequately to the location and adjacent space. High buildings in the city center, low buildings on the outskirts of cities, while maintaining the appropriate distance between buildings. Increasing the value of the indicator of biologically active areas in relation to the area of the plot for development. It is recommended to use biologically active surfaces of roofs and building facades, which increase the value of the indicator.

Among the pro-environmental activities, activities that reduce the negative effects of climate change are indicated. In particular, it is indicated to verify local plans in terms of taking into account the need to save energy and obtain it from alternative sources. It is recommended to use high-efficiency and low-emission devices producing heat and electricity, including cogeneration, development of sustainable transport, in order to reduce the effect of the so-called urban heat island. Taking into account local air circulation, for example by moving building lines away from the boundaries of watercourses, rivers, canals and recommending low vegetation in such areas.

Despite the currently conducted large-scale climate research, the currently observed climate changes are an extremely long-term process and very difficult to predict.

From research conducted in Poland on local spatial development plans for Poland, it is difficult to definitively state whether the current planning provisions are sufficient to counteract the effects of progressive climate change.

It is important to know that the opportunity for contemporary urban spaces lies in developing harmony between anthropogenic, man-made and natural systems, directing both towards development that creates the potential to build sustainable social and environmental capital.

The current research has identified a significant problem in the planning system in Poland at the commune level. The current planning provisions included in the local spatial development plans are only to a small extent able to counteract the progressing climate changes. The unfavorable provisions result primarily from the unclear position of Polish law as to the necessity and possibility of applying specific binding planning regulations that could regulate climate policy at the local planning level.

The current planning provisions contained in the local spatial development plans are only to a small extent able to counteract the progressing climate changes. The unfavorable provisions result primarily from the unclear position of Polish law as to the necessity and possibility of applying specific binding planning regulations that could regulate climate policy at the local planning level. In addition, there are no appropriate tools to verify whether, when creating local plans, provisions aimed at preventing the effects of climate change were recorded and then implemented. Very often these are only recommendations, not requirements. Usually, pro-climate provisions in the development of local spatial development plans are immeasurable. Spatial planning focused on the needs of contemporary spaces struggling with climate change should be implemented in an integrated manner, without systemic and hierarchical divisions. Only multi-directional, comprehensive records and actions can prevent the effects of climate change, or at least mitigate them.

CONCLUSION

Scale monochrome

Scaling is one of the major players in urban planning. In case of right planning, it is essential to maintain the overall scale of the city; A sense of the integrity of this structure in order to maintain an atmosphere of calm and serenity in the living environment.

A drastically different scale disrupts the sense of integrity of the perception of the city. Throughout the history it was principally difficult to obtain a sharp, large-scaled dissonance in the settlement because the scale in the region was determined by technological knowledge and principally you would not have significant interventions in the planning of the city.

In the modern epoch we have almost unlimited possibilities to create a city of a different scale, which should not be abused.

Style monochrome

Through the centuries, mixing styles in a big city has been more than welcomed and accepted practice.

But we are not talking about the big city, but the small elements of it, accordingly, it is important to protect the stylistic unity within this element in order to create a sense of unity in a given section of the city.

Proportional monochrome

We talked about the overall scale of the settlement, that there can be no interference of different scales in the settlement. However, we should not miss another kind of scale.

We are talking about the proportionality of the proportions of individual buildings, as we have for example the common type of buildings in a historic settlement with the following dimensions: height 9 m length 6 m width 6 m. Bringing a new building in this settlement with a height of 9 m, a length of 20 m and a width of 20 m. would be dissonant although the overall height of the settlement does not change.

Uniqueness

No matter how carefully we follow the existing recommendations, nothing will make sense if our piece of art will not be the unique.

For example if our city repeats any environment of another city which is older, who will come to see our city, what approach might a person take to be interested in our art if it is an a priori copy. By what approach can a person be interested in our art if it is just a copy.

The main challenge here is that: How is the minimum level of uniqueness defined, where does the margin go for minor change and the formation of a unique component.

Respect the landscape

The natural landscape, despite its incredible diversity has beauty and attractiveness. There are some unfamiliar laws in the beauty of the landscape.

In previous eras man was forced to adapt to the existing natural landscapes because he did not have the technical ability to make drastic changes of the landscape.

